Arabesque

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე

No1'06

ბანკი რესპუბლიკა
BANK REPUBLIC

ჩვენ ვზრუნავთ

საბალეტო დასის სპექტაკლების განრიგი 2005/2006 წლების სეზონის ბოლომდე

აპრილი

02	ამაო სიფრთხილე	15.00
04	ამაო სიფრთხილე	19.00
05	ამაო სიფრთხილე	19.00
06	ამაო სიფრთხილე	19.00

მარტი

04	პრემიერა ბალანჩინი III	19.00
05	პრემიერა ბალანჩინი III	15.00
17	პრემიერა ჟიზელი	19.00
18	პრემიერა ჟიზელი	19.00
23	დონ-კიხოტი	19.00
24	დონ-კიხოტი	19.00
25	პრემიერა ჟიზელი	19.00
26	პრემიერა ჟიზელი	15.00

მაისი

06	ბალანჩინი III	19.00
07	ბალანჩინი III	15.00
19	პრემიერა რომეო და ჯულიეტა	19.00
20	პრემიერა რომეო და ჯულიეტა	19.00
21	პრემიერა რომეო და ჯულიეტა	15.00
25	პრემიერა რომეო და ჯულიეტა	19.00
27	პრემიერა რომეო და ჯულიეტა	19.00
28	პრემიერა რომეო და ჯულიეტა	15.00

Arabesque

„არაბესკი“ ჟურნალი ბალეტზე No1'06

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის
თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის
საბალეტო დასის ჟურნალი

საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელი
ნინო ანანიაშვილი

02 ნინო ანანიაშვილი – ქართული ბალეტის იმედის სიმბოლო!

06 მესამე შეხვედრა ბალანჩინთან

08 ბარტ კუკი: „საქართველოში იციან, ვინ არის ბალანჩინი და ეს მე მახარებს!“

10 ბალანჩინი სწავლობს „ხორუმს“

11 სათავეებთან: პერინის სტუდია

12 ვახტანგ ჭაბუკიანი

13 მიხეილ ლავროვსკი: „ახალი სპექტაკლი ცოტათი თანამედროვე იქნება“

15 „ჟიზელს“ მაყურებელი მარტის ბოლოს იხილავს

16 ლალი კანდელაკი ცეკვავს თქვენთვის!

16 აპოლონი – ლაშა ხოზაშვილის საყვარელი პარტია!

17 პრინცი ალბერი – ირაკლი ბახტაძის ბედნიერი დებიუტი

18 დავით ხოზაშვილი – ქართული ხასიათი ცეკვაში

18 ცისია ჩოლოყაშვილის მხიარული ჩელიტა

19 ნინო ოჩიაურის ლეა

20 ხელოვნება – ბავშვებს! საბალეტო სასწავლებელი დღეს

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელი ნინო ანანიაშვილი ბალეტის მოყვარულებს კიდევ ერთ სასიხარულო სიახლეს სთავაზობს – გამოსვლას იწყებს ჟურნალი „არაბესკი“ (*არაბესკი – arabesque – კლასიკური ცეკვის ერთ-ერთი ძირითადი პოზიციაა, როცა სხეული ცალ ფეხზეა დაყრდნობილი, მეორე ფეხი უკანაა ამართული, ცალი ხელი წინ არის გაწვდილი, მეორე ხელი – უკან ან განზეა გაწვდილი. კორპუსი დახრილია, გამართული ფეხი და ხელი სხეულს აწონასწორებს. თანამედროვე ბალეტში არაბესკის ოთხი ფორმაა*).

ეს საქართველოში საბალეტო ხელოვნების შესახებ პროფესიული ჟურნალის გამოცემის პირველი ცდაა. მაგრამ, მისი შემქმნელები და გამომცემლები არ ფიქრობენ მკითხველი გადატვირთონ ბალეტთან დაკავშირებული ტერმინებითა და ნიუანსებით. ჩვენ შევეცდებით თქვენთვის სასიამოვნოდ საკითხავი ჟურნალი შევქმნათ და უფრო ახლოს გაგაცნოთ საბალეტო დასში მიმდინარე ცვლილებები, გესაუბროთ ახალ დადგმებზე და მათ შემქმნელ ქორეოგრაფებზე, ბალეტის ისტორიასა და მსოფლიო საბალეტო სცენებზე მომხდარ სიახლეებზე, შეგახვედროთ ჩვენს სოლისტებს, და რაც მთავარია, გულისყურით მოვეკიდოთ თქვენს სურვილებსა და მოსაზრებებს.

ჟურნალ „არაბესკის“ პირველი ნომერი, თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში, გენიალური ჯორჯ ბალანჩინის საბალეტო სპექტაკლების მესამე პრემიერას ეძღვნება.

ჟურნალში გამოყენებულია სერგეი ბერმენევის, ნენსი ელისონის, ლადო ვაჩნაძის და იური მურადოვის ფოტოები, აგრეთვე მასალები ნინო ანანიაშვილის, ბალეტის სოლისტთა პირადი ფოტოარქივებიდან, თეატრის მუზეუმის ფონდებიდან, წიგნიდან „New York City Ballet“

გარეკანის პირველ გვერდზე: ნინო ანანიაშვილი, ნენსი ელისონის ფოტო; მეოთხე გვერდზე – სცენა ბალანჩინის ბალეტიდან „სერენადა“, ლადო ვაჩნაძის ფოტო

რედაქტორი ილია თავგერიძე
ტექნიკური რედაქტორი ქეთევან ნოზაძე
დიზაინი გესიკ დანელია

თბილისი, რუსთაველის გამზ. 25, ტელ.: 98 32 54, 99 93 64

www.ballet.ge

სერგეი ბერმენევის ფოტო

ნინო ანანიაშვილი ქართული ბალეტის იმედის სიმბოლო

წერილის შესავალზე ბევრი არ გვიფიქრია. მას საქართველოს სახალხო არტისტის, ლეგენდარული მოცეკვავისა და ბალეტმაისტერის ბატონ ზურაბ კიკალეიშვილის წერილი წავუმძღვარეთ, რომელიც მან გარდაცვალებამდე რამდენიმე ხნით ადრე, იმ დროს გამოაქვეყნა, როცა ქალბატონი ნინო ანანიაშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასს ჩაუდგა სათავეში. ბატონი ზურაბი კარგად ხედავდა საბალეტო დასსა და საერთოდ, საბალეტო ხელოვნებაში შექმნილ მდგომარეობას. წერილი გაზეთ „24 საათში“ 2004 წლის 28 დეკემბერს დაიბეჭდა:

მივესალმები ნინოს ჩამოსვლას საქართველოში!

თავისი მნიშვნელობით ნინო ანანიაშვილის ჩამოსვლა ისეთივე სასიკეთო მოვლენაა, როგორც წარსული საუკუნის 30-იანი წლების ბოლოს ვახტანგ ჭაბუკიანის დაბრუნება საქართველოში.

ვიგონებ 90-იან წლებს. საავადმყოფოში მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაში მყოფმა ექიმებს მივმართე თხოვნით – ხმა მიეწვდინათ იმჟამად თბილისში ჩამოსული ნინოსთვის, ეზრუნა ქართული ბალეტისათვის, რომლის მომავალი ძალიან ბუნდოვნად მესახებოდა.

ეს იყო ვედრება! ასე მხოლოდ საკუთარ პირმშოს გადასცემენ საიმედო ხელში განსაცდელში მყოფი ადამიანები.

იმ პერიოდში ქართულ ბალეტს თითქოს მომავალი აღარ გააჩნდა. ის, რაც არაფრიდან რამდენიმე ათეული წლის მანძილზე შექმნა ჩვენმა და მომავალმა თაობებმა დიდი რუდუნებით, შრომით, მთელი სულიერი და ფიზიკური ძალების მოხმობით, თითქოს დასანგრევად იყო განწირული. არადა, საფუძველი მისი განვითარებისთვის ნამდვილად არსებობდა, თუკი გამოჩნდებოდა მოღვაწე, ვინც თავის თავზე აიღებდა ქართული ბალეტის აღორძინების ამ ურთულეს საქმეს.

სამწუხაროდ, მაშინ ასე არ მოხდა. რეპერტუარი და სპექტაკლები მწირი იყო (მოცეკვავეს კი სცენა სჭირდება შემოქმედებითი ზრდისათვის), მაგრამ რაკი დღეს ჩამოხვედით, ჩემი და მთელი საქართველოს უსაყვარლესო შვილო, ღმერთს მადლობას ვწირავ – ეს იმას ნიშნავს, რომ დღეს არაფერი დაკარგულა.

ჩემი ცხოვრება ასე აეწყო: არასოდეს მჭირდებოდა სიტყვები – რისი თქმაც მინდოდა, პლასტიკით გამოვხატავდი, ახლა წლების სიმძიმე აღარ მაძლევს ცეკვის საშუალებას, ამიტომ ამ ქაღალდს უნდა ვანდო მოსაზრება ქართული ბალეტის სამომავლო პერსპექტივის შესახებ.

უმძიმესი ტვირთი იკისრეთ, ძვირფასო ნინო! ბრძოლა ორ ფრონტზე მოგიწევთ: პირველი – თავად თეატრი, მეორე – ქორეოგრაფიული სასწავლებელი. დიდი კმაყოფილებით შეხვდა მთელი ქართული საზოგადოება იმას, თუ რა ფაქიზად მოექეცით მოცეკვავეებს. გაასკეცებული სიფაქიზეა საჭირო რეპერტუარის შესარჩევად.

თუ გავითვალისწინებთ, როგორი ახალი ტენდენციები გაჩნდა მსოფლიო ხელოვნებაში, ეს საშუალებას მოგვცემს დიდი წარმატების იმედი ვიქონიოთ. კერძოდ, ეს არის უდიდესი ინტერესი ეროვნული ხელოვნებისადმი – მსოფლიო საგანძურთან ერთად აუცილებლად უნდა არსებობდეს ეროვნული სპექტაკლებიც – როგორც ბალანჩივაძის, მაჭავარიანის, თორაძის, გაბიჩვაძისა და ცინცაძის, ასევე თანამედროვე ახალგაზრდა კომპოზიტორებისაც. ჩემი სიტყვების სამართლიანობაში დაგარწმუნებთ ის გამოხმაურებანი, რომელიც არსებობდა ყოველი გასტროლის შემდეგ „მთების გულზე“, „გორდაზე“, „ბერიკაობასა“ თუ სხვა სპექტაკლებზე. ძველი სპექტაკლების შენარჩუნების ორი გზა არსებობს: პირველი – აღდგენა-რედაქტირება ან მეორე – ახალის დადგმა. ორივე გზა მისაღებია, მაგრამ ნება მიბოძეთ შეგახსენოთ, რომ მოსფლიო საბალეტო პრაქტიკაში არსებობს კლასიკური ბალეტების მთელი წყება, რომლებიც არ იცვლება (ან უმნიშვნელოდ იცვლება) ათწლეულების მანძილზე. ცხადია, რომ სპექტაკლები არ უნდა იქცნენ მტვერწაყრილ სამუზეუმო ექსპონატებად, ამიტომ მათი შენარჩუნებისთვის ახალი გზების მოძიებაა საჭირო.

ჩემი ძალიან ხანგრძლივი სიცოცხლე მაძლევს ნებას უფრთხილესად გირჩიოთ – მხოლოდ ეროვნულისა და ზოგადსაკაცობრიოს შერწყმით არის შესაძლებელი ნამდვილი, უბერებელი შემოქმედებითი ფასეულობების შექმნა.

რაც შეეხება ქორეოგრაფიულ სასწავლებელს – აქ მდგომარეობა თითქმის კატასტროფულია: მე ვესწრებოდი სახელმწიფო გამოცდებს – ჩემი განცდა სავალალოა, არა იმიტომ, რომ გვაკლია ან პროფესიონალი აღმზრდელები, ან ნიჭიერი ახალგაზრდობა – არა! მოსწავლეებსა და პედაგოგებს უნდა შეექმნათ შრომისა და სწავლის ნორმალური პირობები – ყოველ შემთხვევაში, ავტობუსებში არ უნდა ტარდებოდეს გაკვეთილები. ხომ არ არის დრო, რომ მთავრობას მივმართოთ თხოვნით – სასწავლებელი თეატრთან ახლოს მდებარეობდეს. გარწმუნებთ ნინო, რომ მე და ჩემი თაობის ქართული ბალეტის მოღვაწენი ამ საქმეშიაც თქვენი მხურვალე მხარდამჭერნი ვიქნებით. ყოველმხრივ შევეცდებით საზოგადოებრივი აზრის შექმნას თქვენს სასარგებლოდ, რადგან ეს იქნება მძაფრი ბრძოლა – ვიზრუნოთ ახალი შენობისათვის. აგრეთვე საჭიროა, შეიქმნას პროფესიონალების ჯგუფი, რომელიც მოაწყობს გასვლით კომისიებს საქართველოს პერიფერიებში და მოიზიდავს ნიჭიერ ახალგაზრდობას. დარწმუნებული იყავით, რომ საქართველოში ერთადერთი, რაც არა გვაქვს დეფიციტური, ეს გახლავთ ნიჭი.

ჩემო ძვირფასო ნინო! გარწმუნებთ, რომ ეს წერილი არა მენტორის მიერ არის დაწერილი, არამედ თქვენი მოყვარული და თქვენთვის მლოცველი კაცის მიერ.

ქართულ ხელოვნებას თუ დაღუპვა არ უწერია, მხოლოდ იმიტომ, რომ მისთვის ყველაზე მძაფრ, კრიტიკულ მომენტებში გამოჩნდებიან ადამიანები, რომლებიც უარს ამბობენ საკუთარ ამბიციებზე, საფუძვლიან სიამაყეზე, კომფორტზე და თქვენსავით თავს წაუხრიან ქედს უმძიმეს სამუშაოს. ამას მოღვაწეობა ჰქვია, ძვირფასო ნინო. ღმერთმა დაგაძლევინოთ ეს უმძიმესი ტვირთი და მეც მუდამ თქვენ გვერდზე მიგულეთ – ხომ იცით, ბებერი ხარისა რქებიც ხნავენო...

ზურაბ კიკალეიშვილი

ეორე სეზონი იწურება, რაც ქალბატონი ნინო სამხატვრო ხელმძღვანელის რანგში საქმიანობს. მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავმა, რომელსაც გარანტირებული ჰქონდა თავისი საქმიანობის გაგრძელება მსოფლიოს დიდ თეატრებში, ამჯობინა სამშობლოში დაბრუნებულიყო და ურთულესი სამუშაოსთვის მოეკიდა ხელი. ამ დანიშვნამ მთლიანად შეცვალა მისი ცხოვრება. მაგრამ ეს იყო მნიშვნელოვანი ნაბიჯი და ამავე დროს, დიდი რისკიც.

ამ ორი სეზონის მანძილზე თეატრში 14 საბალეტო პრემიერა შედგა. წელიწადში ოთხი-ხუთი სპექტაკლის დადგმა და ნორმალური რეპერტუარის ჩამოყალიბება დიდი შრომისა და დასის ორგანიზაციული მხარის მოწესრიგების ფასად მოხერხდა. ნინო ანანიაშვილი ქართულ საზოგადოებას 2004 წლის შემოდგომაზე დაჰპირდა, რომ სამ წელიწადში გამართულ საბალეტო დასს წარუდგენდა. ამოცანა, რომელიც მან დაისახა, სიტყვით ადვილად გადმოიცემა, განსახორციელებლად კი – რთულია. პირველი მნიშვნელოვანი ნოვაცია რეპერტუარში ჯორჯ ბალანჩინის შედევრების შემოტანა იყო. ბალანჩინი ასე სრულყოფილად თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ადრე წარმოდგენილი არ ყოფილა. დადგმები თავად „ბალანჩინის ფონდიდან“ მოწვეულმა მარია კალეგარმა და ბარტ კუკმა, მისტერ ბის მოსწავლეებმა, განახორციელეს. ისინი დასთან მუშაობით კმაყოფილნი არიან. სამომავლოდ გათვალისწინებულია ბალანჩინის კიდევ რამდენიმე შედევრის დადგმა, მათ შორის იქნება ქალბატონი ნინოს საყვარელი „ეპიზოდები“ და „სიმფონია დო მაჟორი“.

მაგრამ, სამხატვრო ხელმძღვანელი ამით შემოფარგვლას არ ფიქრობს. მსოფლიოში ცნობილ თანამედროვე ქორეოგრაფებს უკვე მიეცათ დასთან მუშაობის საშუალება. 2005 წლის შემოდგომაზე თბილისში მსოფლიო პრემიერა შედგა. თრეი მაკინტაერმა განახორციელა „ზაფხულის ღამის სიზმარი“. დაიდგა ალექსეი რატმანსკის „სიზმრები იაპონიაზე“ და „ლეა“. ეშტონის „ამაო სიფრთხილე“ ინგლისის სამეფო თეატრიდან („კოვენტ გარდენი“) მოწვეულმა ცნობილმა მოცეკვავემ ალექსანდრ გრანტმა განახორციელა. მომავალში თბილისში კ.მაკმილლანის, ჯ.რობინსის, ბ.კულბერგის, ე.ტიუდორის და სხვა ცნობილი ქორეოგრაფების მიერ განხორციელებულ დადგმებს იხილავს მაყურებელი.

საბალეტო თეატრი წარმოუდგენელია კლასიკური საბალეტო შედევრების გარეშე. მაყურებლის დაინტერესება ამ სპექტაკლებისადმი დღესაც დიდია. თბილისში სპეციალურად მოიწვიეს დიდი თეატრის ყოფილი პრემიერი და სამხატვრო ხელმძღვანელი ალექსეი ფადეეჩევი, რომელსაც უნიკალური ცოდნა აქვს ამ საქმეში. მის მიერ დაიდგა „გედების ტბა“ და „დონ კიხოტი“, ახალი რედაქციებით. მარტის ბოლოს მაყურებელი იხილავს „ჟიზელს“. სეზონის ბოლოს მიხეილ ლავროვსკი აღადგენს ლეონიდ ლავროვსკისეულ „რომეო და ჯულიეტას“. შემდეგ იქნება „ლაურენსია“, „კონკია“, ეშტონის ერთ-ერთი ბალეტი და სხვა.

პრემიერათა ასეთი სიხშირე და რეპერტუარის განახლებაზე ყოველდღიური ზრუნვა იმითაა განპირობებული, რომ მხოლოდ საინტერესო, მაღალი დონის რეპერტუარის მქონე საბალეტო დასებთან თანამშრომლობენ მსოფლიოს წამყვანი თეატრები და იმპრესარიოები. ნინო ანანიაშვილის მიზანი კი გახლავთ მსოფლიოს აჩვენოს, რა შეუძლია უდიდესი კულტურული ტრადიციების მქონე ქვეყანას, როგორი ნიჭიერი და მაღალი დონის მოცეკვავეები ჰყავს მას. ამის განხორციელებას სამხატვრო ხელმძღვანელი 2007 წლიდან აპირებს.

მას თეატრში მოსვლისას დახვდა ახალგაზრდა მსახიობთა დასი, რომელთაც ჰქონდათ სურვილი ემუშავათ და ესწავლათ 24 საათი, მონაწილეობა მიეღოთ ახალ სპექტაკლებში, ეცეკვათ ახალი კოსტიუმებით, შესაფერისი დეკორაციებით განახლებულ სცენაზე. ბალეტი ხომ ვიზუალური ხელოვნებაა და მაყურებელს სწორედ ის ფერადოვნება და ფეიერვერკული სანახაობა ხიბლავს, რაც ახალ სპექტაკლებს ასე გამოარჩევს. ქალბატონმა ნინომ ყველა პირობა შექმნა მსახიობთა და ბალეტის რეპეტიტორთა მუშაობისათვის. დღეს დასთან მუშაობენ თეატრის ყოფილი სოლისტები – ირინა ჯანდიერი, მარინა ალექსიძე, სვეტლანა გოჩიაშვილი, ლილიანა მითაიშვილი, ნუკრი მაღალაშვილი, მაია ზურაშვილი. ამ ადამიანებისა და თეატრის მაშინდელი დირექტორის ზურაბ ლომიძის, საბალეტო დასის ხელმძღვანელის გოგი ალექსიძის დამსახურებაა ის, რომ საბალეტო დასში უმძიმეს წლებშიც კი არ შეჩერებულა მუშაობა, რამაც შესაძლებელი გახადა დასის შენარჩუნება. თეატრი დიდადაა დავალებული ტ.როსტორ-

გუევასა და ი.მალხასიანცისაგან, რომლებიც პერიოდულად მუშაობენ აქ; იმ პედაგოგებისაგან, რომლებიც ჩამოდიან და ეხმარებიან ჩვენს მოცეკვავეებს პროფესიული დონის ამაღლებაში. დასთან უკვე იმუშავეს დიმიტრი კორნეევმა (მარიას თეატრი), ანდრეი კუდელინმა (მოსკოვი), ივა კლობორგმა (დანიის სამეფო თეატრი), კაროლინა ლორკამ (მიუნხენის საბალეტო სკოლა). გამოჩნდნენ იმედისმომცემი, პერსპექტიული მოცეკვავეები. ისინი საკმაოდ კარგ პარტნიორობას უწევენ საგასტროლოდ ჩამოსულ ვარსკვლავებს – გალინა სტეპანენკოს, ნადეჟდა გრაჩევას, ნასტია გარიაჩევას, სერგეი ფილინს, ანდრეი უვაროვს, დიმიტრი ბელოგოლოვცევს, გენადი იანინს (დიდი თეატრიდან), სებასტიან კლობორგს (დანიის სამეფო თეატრიდან). თბილისში მომავალშიც ჩამოვლენ საგასტროლოდ მსოფლიო ბალეტის ვარსკვლავები.

ასეთი მასშტაბური წარმატებების მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა, ხელისუფლებას და ქვეყნის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს რომ არ აღმოეჩინათ ის დიდი დახმარება, რომელსაც საბალეტო დასი მუდამ გრძნობს.

> ნინო ანანიაშვილი:
> ხელისუფლებამ, ჩემი აზრით, მშვენივრად იცის, რომ შეიძლება ააღორძინო ეკონომიკა, შექმნა დემოკრატიული სახელმწიფო ინსტიტუტები, მაგრამ ააღორძინო განადგურებული კულტურა – შეუძლებელია. ამიტომ, ქვეყნის ბიუჯეტიდან სახსრები გამოიყოფა არა მარტო საბალეტო ხელოვნების, არამედ კულტურის სხვა დარგების განვითარებისთვისაც. მინდა მათ ამ თანადგომისთვის დიდი მადლობა მოვახსენო“.

სამომავლო გეგმები ქალბატონ ნინოს სხვაც ბევრი აქვს. ეს არ არის დაკავშირებული მხოლოდ რეპერტუართან და ახალ დადგმებთან. დასს სჭირდება მუდმივი შევსება, რისთვისაც დიდი ტრადიციების მქონე საბალეტო სასწავლებელში რეფორმის პროცესია დაწყებული, ხორციელდება მრავალი საქველმოქმედო აქცია.

და რაც ყველაზე მთავარია – ბალეტს ჰყავს მაყურებელი, რომელიც თეატრში მოდის მაშინაც კი, როცა ქვეყანა ენერგოკრიზისის პირობებში ცხოვრობს. ესაა შედეგი იმ ტიტანური შრომისა, საბალეტო დასის ხელმძღვანელი რომ ეწევა უკვე ორი წელია თბილისში.

ამერიკული საბალეტო თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი კევინ მაკკენზი იგონებს, რომ ნინო ანანიაშვილის ცეკვით მოხიბლულს დაუწყია გამოკითხვა რუსი ბალერინის შესახებ, გრძელი გვარით „ა“-ზე. მას უთხრეს, რომ ასეთი ორია. მაშინ მაკკენზიმ დააზუსტა, რომ საუბარი ეხება „სწორედ იმ ქართველ გოგონას“. ასე მიიწვიეს „ეს ქართველი გოგონა“ ამერიკულ საბალეტო თეატრში, სადაც განაცვიფრა მაყურებელი და დღემდე მოღვაწეობს, როგორც პრიმა ბალერინა.

დღეს „სწორედ ამ ქართველმა გოგონამ“, უარი თქვა კომფორტულ ცხოვრებაზე საზღვარგარეთ, კარიერაზე მსოფლიოს დიდ თეატრებში, უამრავ საინტერესო წინადადებაზე და დაბრუნდა სამშობლოში, თეატრში, საბალეტო დასთან, სადაც იგი ყველაზე მეტად სჭირდებათ, სადაც მას უყურებენ, როგორც ქართული ბალეტის გადარჩენის იმედის სიმბოლოს.

ქალბატონ ნინოს ვულოცავთ დიდ სიხარულს – ქალიშვილის, ელენეს დაბადებას!

სერგეი ბერდენევის ფოტო

მესამე შეხვედრა ბალანჩინთან

4 მარტს თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასი მაყურებელს კვლავ ახალ პრემიერას შესთავაზებს. წარმოდგენილი იქნება ჯორჯ ბალანჩინის სამი ერთაქტიანი ბალეტი-მინიატურა ლ.გოშტალკის „ტარანტელა“, ი.სტრავინსკის „Duo Concertanto“ და პ.ჩაიკოვსკის „პა-დე-დე“.

ორი წლის მანძილზე ეს ბალანჩინთან თბილისელი მაყურებლის მესამე შეხვედრა იქნება. გენიალური ქორეოგრაფის ორასამდე შედევრიდან საბალეტო დასის რეპერტუარში უკვე ცხრის ნახვა იქნება შესაძლებელი. ნინო ანანიაშვილმა, საბალეტო დასის ხელმძღვანელის რანგში მოსვლისთანავე განაცხადა, რომ ჯორჯ ბალანჩინის ბალეტები თეატრის რეპერტუარში წამყვან ადგილს დაიმკვიდრებდნენ. ამ გადაწყვეტილებით ხაზი გაესვა მიზანს – დასმა მიაღწიოს იმ დონის სრულყოფილებას, რომელიც საჭიროა რომ იცეკვო ბალანჩინის ბალეტები, რაც კლასიკური საბალეტო პას ვირტუოზულ მოძრაობაზეა დაფუძნებული (სხვათა შორის, ნინო ანანიაშვილი გახლდათ მოსკოვის დიდ თეატრში 1999 წელს ბალანჩინის ბალეტების დადგმის ინიციატორი).

ბალანჩინს უყვარდა იმის აღნიშვნა, რომ საბალეტო დადგმები ცოცხლობენ მანამ, სანამ ცოცხალია მისი შემქმნელი; როცა ისინი ცხოვრებიდან მიდიან, სპექტაკლებიც კვდება. მაგრამ, ვინც მისი სპექტაკლები ნახა თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე, დაგვერწმუნება, რომ ბალანჩინის შემოქმედება ცოცხალია; ბალანჩინი დღესაც ცოცხალი კლასიკაა.

გასულ გაზაფხულს ჩაიკოვსკის „სერენადის“, სტრავინსკის „აპოლონ მუსაგეტისა“ და ჰერში კეის „სიმფონიური ვესტერნის“ საბალეტო პრემიერა ნამდვილ მოვლენად იქცა (იგი 20 მაისს გაიმართა). მაყურებლის განწყობას დარბაზში შექმნისთანავე ქმნიდა სცენის მთავარ ფარდად დაშვებული „მისტერ ბის“ ფოტოპორტრეტი – იგი პას აჩვენებს და თითქოს მაყურებელს იწვევს საკუთარ შემოქმედებასთან შესახვედრად.

ჩაიკოვსკის მუსიკაზე შექმნილი „სერენადა“ პირველი სპექტაკლია, რომელიც ბალანჩინმა ამერიკაში დადგა (პრემიერა 1934 წლის 8 დეკემბერს შედგა). თბილისური „სერენადა“, ისევე როგორც ბალანჩინის ყველა სხვა დადგმა, „ჯორჯ ბალანჩინის ფონდის“ ქორეოგრაფებმა, მისტერ ბის ყოფილმა მოსწავლეებმა მარია კალეგარმა და ბარტ კუმა განახორციელეს. მათ ჰქონდათ ბედნიერება ემუშავათ ბალანჩინთან, ეცეკვათ მის მიერ შექმნილი შედევრები. უდავოა, რომ თბილისში დადგმულ სპექტაკლებში ზუსტადაა დაცული ბალანჩინის ქორეოგრაფია. „სერენადისა“ და „აპოლონ მუსაგეტის“ კოსტიუმები ასევე ამერიკელმა მერილინ ბურბენკმა შეასრულა თავის სახელოსნოებში და ქართულ საბალეტო დასს საჩუქრად გადასცა.

„სერენადა“ პეტერბურგის მონატრებაა. ბალანჩინს ღამით აჟღერებული მუსიკა მოესმა და შექმნა ღამის ლირიკული ქორეოგრაფიული სურათი. ჩაიკოვსკის გენიალური მუსიკის პირველი ბგერებიდანვე შექმნილი განწყობილება, ეფექტური განათება „თეთრ საღამოებს“ მოგაგონებთ. პეტერბურგული მოტივები თვალშისაცემია და დომინირებს მთელ სპექტაკლში.

ცნობილია, რომ ბალანჩინი ძირითადად არ დგამდა სიუჟეტიან ბალეტებს. არც „სერენადაშია“ სიუჟეტი. „როცა სცენაზე დგას ქალი და კაცი, ეს უკვე ისტორიაა“, – ამბობდა თავად. მის შედევრად მიჩნეულ ამ სპექტაკლშიც ასეთი „ისტორიაა“, რომელიც

ქალწულების – „ლირიკული ეფემერიდების“ (ვ.გაევსკის ტერმინია) ნატიფ მოძრაობებზეა აგებული. ისინი თეთრ, ნათელ ღამეებში აღმაფრენით, თავდავიწყებით მართავენ მეჯლისს. სოლისტებმა (ლ.კანდელაკი, თ.ჯიბუტი, ნ.გოგუა, დ.ხოზაშვილი, ლ.ხოზაშვილი) და კორდებალეტმა გამომსახველი და დამაჯერებელი მოძრაობებით პრემიერაზე დაგვანახეს ბალანჩინის შემოქმედების სიდიადე.

ბალანჩინის ბალეტების პირველ პრემიერაზე „სერენადასთან“ ერთად წარმოდგენილი ი.სტრავინსკის „აპოლონ მუსაგეტი“ მისი ის დადგმაა, რომელმაც 24 წლის ასაკში მსოფლიო აღიარება მოუტანა. ასე დაიწყო თანამშრომლობა სტრავინსკისთან. „აპოლონის“ დადგმა ბალანჩინის ცხოვრებაში შემობრუნების პუნქტი გახდა. სტრავინსკის მიერ შექმნილი თეთრი მუსიკა ბალანჩინს აკმაყოფილებდა და მოსწონდა. უფრო მეტიც, რომ შეძლებოდა მუსიკის შექმნა, როგორც ამბობდა, შექმნიდა სწორედ სტრავინსკისნაირს. იგი არ ქმნიდა მუსიკას, მაგრამ საუკეთესო კითხულობდა პარტიტურას, რაც უადვილებდა მის აღქმას უწვრილმანეს ნიუანსებამდე, ზუსტად გრძნობდა ბგერას და ორგანულად აქსოვდა მას საკუთარ ჩანაფიქრში. სწორედ სტრავინსკის ეკუთვნის სიტყვები: „დაინახო ბალანჩინის ქორეოგრაფია – ეს იგივეა უსმინო მუსიკას თვალებით“.

ბალანჩინს მიაჩნდა, რომ ბალეტში მეფობს ქალი. მაგრამ მან რამდენიმე საუკეთესო როლი შექმნა მამაკაცისთვის. ერთ-ერთი მათგანია აპოლონ მუსაგეტი; თბილისში დადგმულ „აპოლონში“, რომელიც დასის ერთ-ერთ საუკეთესო სპექტაკლად უნდა ჩაითვალოს, აპოლონის პარტიისათვის ქორეოგრაფებმა 22 წლის ლაშა ხოზაშვილი აირჩიეს. მის მიერ შესრულებულმა აპოლონმა, შეიძლება ითქვას, დიდად განაპირობა ამ სპექტაკლის წარმატება. სამ მუზასთან – კალიოპესთან (ც. ჩოლოყაშვილი), ტერფსიქორასთან (ნ. გოგუა) და პოლიჰიმნიასთან (ნ. ოჩიაური) შესრულებული ერთდროული, უნისონური მოძრაობები, მათი ცალკეული ვარიაციები კულმინაციას აღწევენ „აპოთეოზში“, როცა სპეციალურად შექმნილ დანადგარზე აპოლონი და მუზები მზისკენ ხელაწეულები მიიწევენ ოლიმპოსკენ.

მიმდინარე სეზონზე მაყურებელს მეორედ მიეცა ბალანჩინის ქმნილებებთან შეხვედრის საშუალება. დონიცეტის „ვარიაციებისა“ და გლიუკის „ჩაკონასთან“ ერთად პრემიერაზე ჩაიკოვსკის „მოცარტიანაზე“ შექმნილი ერთაქტიანი ბალეტი წარმოადგინეს.

„მოცარტიანა“ ბალანჩინმა 1981 წელს ახალი რედაქციით დადგა. იგი მისი ერთ-ერთი ბოლო ნამუშევარია. „ნიუ-იორკ სითი ბალეს“ წამყვანი სოლისტისა და მისტერ ბის საყვარელი მოცეკვავის სიუზან ფარელისათვის შექმნილი პარტია, 1999 წელს დიდ თეატრში თავად სიუზან ფარელმა პირველად ნინო ანანიაშვილისთვის დადგა. თბილისში კი მისი შესრულება ახალგაზრდა, პერსპექტიულ ბალერინას ნინო გოგუას მიანდეს. მან კარგად შეძლო გადმოეცა „მოცარტიანას“ სულიერი სამყარო, ჩაიკოვსკის ენაზე გადმოტანილი და ბალანჩინის მიერ მარადიულობისა და სრულყოფილების სიმბოლოდ განსახიერებული.

ბალანჩინის ბალეტების ახალი პრემიერისათვის თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელმა ჩაიკოვსკის „პა-დე-დე“ (დიდი ხნის მანძილზე მივიწყებულ მუსიკაზე „გედების ტბიდან“, რომელიც იპოვეს დიდი თეატრის არქივში) და ი.სტრავინსკის „Duo Concertanto“ („საკონცერტო დუეტი“) შეარჩიეს. მაყურებელი ასევე იხილავს გოშტალკის „ტარანტელას“.

ისევ ბალანჩინი, ჩაიკოვსკი და სტრავინკსი... მათი შემოქმედებითი თანამშრომლობის კიდევ ერთ საინტერესო მაგალითს იხილავს მაყურებელი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში. კლასიკურ საბალეტო დადგმებს მიჩვეული ბალეტომანები ბალანჩინის ქორეოგრაფიას აბსტრაქტულს უწოდებენ. ხშირად ბალანჩინისაც საყვედურობდნენ, რომ იგი დგამდა უსიუჟეტო (აბსტრაქტულ) ბალეტებს. აბსტრაქციის დანახვა და შეგრძნება კი მისთვის გაუგებარი იყო. მის ბალეტებს ხომ ადამიანები ცეკვავენ. ერთი კრიტიკოსისთვის უკითხავს:

– მოგწონთ ვარდი?

– დიახ, – უპასუხა მან

– აბა, მითხარით, რა სიუჟეტია მასში? ეს არის არომატი, სილამაზე. მე მინდა, რომ ყველაფერი ძალიან ლამაზი იყოს. აი, ეს არის ჩემი ბალეტი.

ნახეთ ბალანჩინის ბალეტები!

აქ ხომ ყველაფერი, მართლაც, ძალიან ლამაზია!

ილია თავგერიძე

ჯორჯ ბალანჩინი რეპეტიციაზე
ტანაკილ ლეკლერკთან და ნიკოლას მაგალენსთან

„საქართველოში იცით, ვინ არის ბალანჩინი და ეს მე მახარებს!“

ინტერვიუ ბარტ კუკთან

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის საბალეტო დასს, ბალანჩინის ბალეტების ახალი დადგმების განსახორციელებლად კვლავ ეწვია ბარტ კუკი, „ნიუ იორკ სითი ბალეს“ ყოფილი სოლისტი, „ბალანჩინის ფონდის“ ბალეტმაისტერი. მისტერ ბი-ს ერთ-ერთი საყვარელი მოცეკვავე სიამოვნებით დაგვთანხმდა ეპასუხა „არაბესკის“ შეკითხვებზე. ინტერვიუ, რომელსაც ილია თავგერიძე უძღვებოდა, ჯორჯ ბალანჩინის პიროვნებაზე საუბრით დაიწყო:

ჯორჯ ბალანჩინი

მისტერ ბარტ, თქვენ გქონდათ ბედნიერება გეცეკვათ ბალანჩინის დასში და გემუშავათ მასთან. გაიხსენეთ ეს გენიალური პიროვნება და შემოქმედი. როგორი იყო მუშაობის დროს, პირად ურთიერთობებში... თქვენ როგორ აღმოჩნდით მის დასში...

დიდი საკითხია, ვრცელი... საკმაოდ ახალგაზრდა ვიყავი, 19 წლის, როცა მას შევხვდი; ქალაქ ოგდენიდან (იუტას შტატი) ჩამოვედი „ნიუ იორკ სითი ბალეში“. ამ დროს უკვე ვიცოდი, რომ აქ მუშაობდა ცოცხალი ლეგენდა, ვიცნობდი მის რეპერტუარს. ერთი სიტყვით, მასზე უკვე მქონდა შექმნილი მაღალი აზრი. არასდროს დამავიწყდება როცა პირველად მომმართა სახელით. მართალია, ამას რამდენიმე წელი დასჭირდა, მაგრამ, საბოლოოდ მივხვდი ვინ ვიყავი. ბუნებრივია, მეტი პატივისცემით განვეწყვე მის მიმართ და მუშაობაშიც უფრო მუყაითი გავხდი.

ყოველთვის არაჩვეულებრივი იყო მასთან ყოფნა. როცა ვიკრიბებოდით, მას ვუყურებდით როგორც ცეკვის ღმერთს, რომელიც ჩვენს თვალწინ ქმნიდა შედევრებს.

ბალანჩინს ჰქონდა არაჩვეულებრივი იუმორი, რომელსაც ხშირად მიმართავდა რეპეტიციის დროს, უცებ შექმნილი დაძაბულობა რომ მოეხსნა. უყვარდა სიტყვების, ასოების შეტრიალება; ერთხელ გვითხრა, გვეცეკვა როგორც წიწილებს; ე.ი. არ ვმდგარიყავით ქუსლებზე. მაგრამ, ყოველ მის სიტყვას კავშირი ჰქონდა იმასთან, რასაც ვსწავლობდით. მთლიანად კონცენტრირებული იყო ამ საქმეზე და ძნელი იყო ამ დროს გამოგეთიშა საქმიდან.

საკუთარ ქმნილებებს თავის დამსახურებად არ თვლიდა. ამბობდა, რომ ამას მუსიკა აკეთებს, რაღაც ზებუნებრივი ძალა. საუკეთესო მუსიკოსი იყო. არაჩვეულებრივი სანახავი იყო, როცა როიალთან დაჯდებოდა. იტყოდა, ჩაიკოვსკის უნდა დაველაპარაკოო. დახედავდა პარტიტურას, ზუსტად იცოდა სადამდე ჰქონდა დადგმული, დაბრუნდებოდა და გააკეთებდა ახალ პას. ერთ ხელზე მას არ ქონდა თითი, მაგრამ მაინც საუკეთესოდ უკრავდა. ხშირად აწევდა ამ გადაჭრილ თითს. ალბათ, უფრო იუმორისთვის, განწყობილების შექმნისთვის.

იგი იმ მომენტით ცხოვრობდა. ყველაფერს ყურადღებით აკვირდებოდა. მოსწონდა გემო, სურნელი... ძალიან უყვარდა პოლიტიკა და ინტრიგა. დასში ყველას ცხოვრების შესახებ ყველაფერი იცოდა.

ბარტ კუკი რეპეტიციაზე.
თბილისი, 2006 წელი

ცნობილია, რომ იგი დგამდა უსიუჟეტო ბალეტებს. ერთ-ერთი პრემიერის შემდეგ მას დასისთვის მიუმართავს: „ახლა ვიცი რაზეა ჩემი ბალეტი. გუშინ წავიკითხე ამის შესახებ გაზეთში“. თქვენ როგორ ფიქრობთ, რა არის ბალანჩინის ბალეტების გენიალობის განმსაზღვრელი, ის მთავარი, რაც აოცებს ყველას?

ცოტაა ისეთი ბალეტი, რომელშიც რაღაც სიუჟეტია. მას არასოდეს არ შეუქმნია გარკვეული მიზნით, გნებავთ პოლიტიკური, გნებავთ მორალური მიზნით, ან თემით, რასაც კრიტიკოსები პოულობდნენ ხოლმე მის ბალეტებში. თუ არ ჩათვლით „დონ კიხოტს“, „მაკნატუნას“ და „გედების ტბას“, მის დადგმებში ძირითადი აზრი იყო აბსტრაქტულობა, რისთვისაც იგი არის გენიალური. ამ აბსტრაქტულ ნამუშევრებში აზრი ინდივიდისთვის უფრო მისაღები შეიძლება იყოს, ვიდრე ლიბრეტოში, რომლითაც იდგმება ბალეტები. ამასვე არ აკეთებდნენ სტრავინსკი, პიკასო... ამ აბსტრაქციაში კარგად ჯდება მისი იდეები, მოძრაობები. მას არ უყვარდა, როცა სიტყვებით აფასებდნენ მის ნამუშევრებს, ამიტომაც ხუმრობდა კრიტიკოსებზე.

ბალანჩინის შემდეგ რამდენად შესძლო „ნიუ იუორკ სითი ბალემ“ შეენარჩუნებინა მისი სტილი

სამწუხაროდ, „ნიუ იუორკ სითი ბალეში“ მის იდეებს ახალ მიმართულებებს აძლევენ. დღევანდელი სპექტაკლები არ არის ისეთი ბრწყინვალე, როგორიც ბალანჩინის დროს იყო. ცდილობენ გაყვნენ მის ფილოსოფიას, მაგრამ იქ ბალანჩინი არ გვყავს. თუმცა, ეს დროის ბრალია, რადგან ახალ რამეზე როცა მუშაობენ ბალეტში, რაღაც დეტალებს მნიშვნელობა აღარ ენიჭება. ბალანჩინი გენიალურია, ახალ თაობას კი თავისი მუშაობა მოსწონს.

თბილისურ სპექტაკლებში როგორაა დაცული ბალანჩინის ხაზი

თბილისში რასაც ვაკეთებთ, მაყურებელს ადრე არ უნახავს. მოცეკვავეებისთვისაც ახალია ეს, საზოგადოებისთვისაც და ამიტომ, ყურადღებას იმსახურებს.

ახლა თქვენ კიდევ სამ ბალეტს დგამთ. ხომ არ განიცდით უფრო მეტ პასუხისმგებლობას, იმის გამო, რომ მისტერ ბის სამშობლოში იმყოფებით?

ამას ჩემთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. მისი ყველა ბალეტი გაჟღენთილია რაღაც ქართული რიტმებით. ეს მის სისხლში იყო... ამაში თავად მაშინ დავრწმუნდი, როცა ქართული ცეკვები ვნახე. ამ საოცრებაში მე დავინახე ის რიტმები, რასაც ბალანჩინი თავის დადგმებში იყენებდა.

ეს არის ის, რის გამოც მიყვარს აქ ყოფნა. საქართველოში იცნობენ მისტერ ბის, ახსოვთ და ეს მახარებს.

რა პრინციპით შეარჩიეთ ბალანჩინის უამრავი ბალეტიდან ისინი, რაც თბილისში დაიდგა.

ეს ნინო ანანიაშვილის არჩევანია. მან კარგად იცის როგორ ჯობია. მომავალში სხვა გეგმებიც არსებობს. შერჩეულია იმის მიხედვით, რომ ნელ-ნელა გართულდეს ტექნიკა. მესამე ჩამოსვლაზე აქ ყველაფერი გაცილებით უკეთესად გამოიყურება. მოცეკვავეები უფრო დინამიურები გახდნენ, უფრო კარგად აღიქვამენ ამ იდეებს. ვფიქრობ, ეს ბალანჩინისთვის გასახარი იქნებოდა. რაღაცეებს შეასწორებდა, ალბათ.

ჩვენს სოლისტებზე რას იტყვით.

მათ შევამჩნიე, რომ მუსიკალურნი არიან. გამოვყოფდი ლაშა და დათო ხოზაშვილებს, ძალიან დიდი ტალანტის მქონე მოცეკვავენი არიან; მომწონს გოგონები, უკეთესად ცეკვავენ.

ალბათ, ჩვენი დასის სხვა სპექტაკლებიც გინახავთ. საერთო აზრი როგორია საბალეტო დასის დღევანდელ მდგომარეობაზე?

ნინო ანანიაშვილს აქვს საოცრად დიდი გამოცდილება საკუთარ კარიერაში. ჭკვიანია, რომ ბალანჩინი ჩამოიტანა, იმიტომ რომ აქ ახალია. იმიტომაცაა ჭკვიანი, რომ სხვადასხვა სტილის ქორეოგრაფები ჩამოჰყავს. რუსები ცნობილნი არიან კლასიკით. ესეც აუცილებელია. ვუყურებ, როგორ იზრდებიან მოცეკვავეები. მოკლედ, ყველაფერი კეთდება იმისათვის, რომ დიდი, სერიოზული კომპანია ჩამოყალიბდეს.

ბალანჩინის ქმნილებებიდან რომელს გამოარჩევთ, რომელი გიყვართ ყველაზე მეტად?

ძალიან ძნელია გამოარჩიო. ალბათ, მაინც ერთ სპეციალურ სოლოს გავიხსენებ („Square Dance“), რომელიც ჩემთვის შექმნა. ეს კლასიკური ბალეტია, ამერიკული ნაციონალური ცეკვის ელემენტებით. ერთი ბალერინა ცეკვავდა. შეატყო, რომ იღლებოდა. შემდეგ მე ამირჩია მთავარ როლში და ისე დადგა ეს ცეკვა, რომ მე უფრო მეტი მეცეკვა, მას – დაესვენა. აი ეს არის იმის მაგალითი, რომ იგი ყველაფერს ისე ქმნიდა, როგორც იმ მომენტში იყო საჭირო. ძალიან ლამაზი სოლოა, შეიძლება ოდესღაც აქაც დავდგა.

ბალანჩინი
სწავლობს „ხორუმს“

ქართველი გიორგი ბალანჩივაძე, მსოფლიოში ჯორჯ ბალანჩინად ცნობილი, თავისი ცხოვრების მხოლოდ ორმოცდამეჩვიდმეტე წელს ჩამოვიდა სამშობლოში (1962წ.). ეწვია ქუთაისს, მოინახულა მამის საფლავი, დაათვალიერა გელათი და მეტად საინტერესო ჩანაწერი დატოვა: „Приятно было посетить это место. Горжусь, что я имеретинец, Дж.Баланчин“

არავინ იცის რატომ, მაგრამ ხელისუფლებას იგი იმერეთიდან გურიაში მიუწვევია. დღემდე ნაკლებად ცნობილი ამ მოგზაურობის შესახებ ოზურგეთში შევიტყვეთ, რომ მისტერ ბი მახარაძეში (დღევანდელი ოზურგეთი) საკუთარ ძმასთან, კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძესთან ერთად ჩასულა.

ქალაქში, თეატრალურ მოედანზე, 1982 წლამდე, სანამ ბრეჟნევის მე-18 არმიის მუზეუმს აშენებდნენ, ერთი ლამაზი და ქალაქის არქიტექტურისათვის კოლორიტული რესტორან ‘იზაბელას“ შენობა იდგა. მთავარი შეხვედრა აქ გამართულა. როგორც თავად მისტერ ბის მოგონებებიდან ჩანს, სწორედ ამ შეხვედრას მოუხდენია მასზე დიდი შთაბეჭდილება.

იმ მოცეკვავეთაგან, რომლებმაც სპეციალურად დადგეს ბალანჩინისთვის ცეკვა „ხორუმი“, დღეს ბევრი აღარაა ცოცხალი. ავთანდილ ნაცვლაძე კი იგონებს, რომ ამ ცეკვის ნახვის სურვილი თავად ბალანჩინს ჰქონია. იგი თითოეულ ილეთს ინიშნავდა. თვითონაც ჩამდგარა მოცეკვავეთა შორის და ასე სწავლობდა მოძრაობებს. ყველაფერი ორი საათი გაგრძელდა. აღფრთოვანებას ვერ ფარავდა ბალანჩინი, რომელმაც მოგვიანებით, საქართველოდან წასვლისას განაცხადა: „არასოდეს არ დამავიწყდება ის განსაკუთრებული გულთბილობა, როგორითაც სტუმართმოყვარე მახარაძლებმა მიმიღეს. მასპინძლობას საზღვარი არ ჰქონდა, მაგრამ ყველაზე ძვირფასი, რითაც სუფრაზე გამიმასპინძლდნენ, ეს იყო გურული სიმღერები და ცეკვები. ღრად ჩამრჩა მეხსიერებაში „კრიმანჭული“. რაოდენ დიდ და ღრმა კულტურას უნდა ფლობდეს ხალხი, რომ შექმნას ასეთი არნახული პოლიფონია! ნამდვილად საოცარია! მაგრამ მაინც ჩემზე, როგორც ქორეოგრაფზე, ნამდვილად დაუვიწყარი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხურმა ცეკვებმა, ყველას თვალებში შეცვქეროდი, რომ არ გამომრჩენოდა არც ერთი მოძრაობა, არც ერთი ჟესტი, არც ერთი პა.

დარწმუნებული ვარ – როცა აქაური ახალგაზრდა ეროვნული ტანსაცმლით იმოსება, მაშინ იგი უფრო მეტ პატივს სცემს თავის თავს, თავის ეროვნულ ღირსებებს; ვფიქრობ, აქედან მომდინარეობს ცეკვის ხასიათიც – ამაყი, თამამი, გადამწყვეტი... ეს ცეკვები მშვენიერი ყვავილია, მახარაძეში კი ამ ყვავილთა წარმტაცი თაიგული ვნახე. განა ვინმეს მოსწყინდება მშვენიერი ყვავილებით დატკბობა?!“

ფოტოობიექტივს, ჩვენდა გასახარად აღუბეჭდავს ეს ისტორიული შეხვედრა მახარაძეში, რომელიც დღეს პირველად ქვეყნდება.

George Balanchine

პერინის სტუდია

ქართული კლასიკური ბალეტის ისტორია XIX საუკუნის შუა წლებიდან იწყება. ცნობილი ფაქტია, რომ 1851 წელს თბილისში გაიხსნა საოპერო თეატრი. 1851 წლის 9 ნოემბერს, ცნობილი ლიტერატორისა და თეატრალური მოღვაწის, გრაფ ვ.სოლოგუბის ინიციატივით მოწვეულმა იტალიელმა მომღერლებმა გამართეს პირველი წარმოდგენა. ეს იყო დონიცეტის „ლუჩია და ლამერმური“. პეტერბურგიდან მხოლოდ მომავალ წელს ჩამოვიდა ბალეტის ოთხი მსახიობი: ც.ჩერნოვა, ა.პავლოვა, ფ.მანოხინი და ვ.პანოვი. კავკასიის მეფისნაცვალმა, ვორონცოვმა, მანოხინს, იმ დროს აღიარებულ მოცეკვავეს, ყველა პირობა შეუქმნა საბალეტო ჯგუფის შექმნისათვის. 1852 წლის 5 ოქტომბერს თბილისელი მაყურებლის წინაშე წარმოდგენილ იქნა მეორე მოქმედება ბალეტიდან „სილფიდა“ და „პოლკა-ვენგერკა“.

მარია პერინი და მისი აღსაზრდელები

დღეს ბალეტის ისტორიკოსთაგან მიჩნეულია, რომ 1852 წლის 5 ოქტომბერი საქართველოში კლასიკური ბალეტის ისტორიის პირველი ფურცელია. ერთი წლის შემდეგ მანოხინმა დადგა მეორე მოქმედება „ჟიზელიდან“. მალე თეატრს ფინანსური შესაძლებლობები აღარ აღმოაჩნდა და მანოხინი იძულებული გახდა 1854 წლის ზაფხულში დიდ თეატრში დაბრუნებულიყო. XIX საუკუნის 80-90-იან წლებში თბილისში სპექტაკლებს მართავდა პეტერბურგის საიმპერატორო საბალეტო თეატრი, რომლის დასში ცეკვავდნენ ე.გელცერი, ს.ფიოდოროვა, ა.დუნკანი, ვ. და მ. ფოკინები. 1919-22 წლის სეზონში საბალეტო დასს მ.მორდვინი ედგა სათავეში, რომლის თანამშრომლობა კ.მარჯანიშვილთანაც შედგა.

ქართული საბალეტო სკოლის საფუძვლის ჩაყრა კი გამოჩენილი იტალიელი მოცეკვავისა და პედაგოგის მარია პერინის (1873-1939) სახელს უკავშირდება. იგი 18 წლის ასაკში ჩამოვიდა თბილისში და ჩაატარა საღამო, რომელიც სხვადასხვა საბალეტო ნომრებისაგან შედგებოდა. 1897-1907 წლებში მარია პერინი თბილისის სახაზინო თეატრის პრიმა ბალერინა იყო, შემდეგ 1916 წლამდე პედაგოგიურ მოღვაწეობას ეწეოდა.

ქართული ბალეტი დიდადაა დავალებული მარია პერინისაგან. მისმა სტუდიამ, რომელიც 1916 წელს გაიხსნა, აღზარდა საბალეტო ხელოვნების კორიფეები: ვ.ჭაბუკიანი, ნ.ბაუერი, ნ.რამიშვილი, ლ.გვარამაძე, ე. ჩიკვაიძე, თ.ჭაბუკიანი... ამ სასწავლებელს მ.პერინი 1933 წლამდე ხელმძღვანელობდა. შემდეგი სამი წელი იგი სახელმწიფო ქორეოგრაფიული სტუდიის ქორეოგრაფიულ ფილიალს ხელმძღვანელობდა. პერინიმ შექმნა ეპოქა ქართული ბალეტის ისტორიაში. პოეტი იოსებ გრიშაშვილი 1925 წელს თბილისის საბალეტო სტუდიის კონცერტს დასწრებია. აღფრთოვანებული პოეტი წერდა:

„მაყურებელთა თვალწინ მოჰქროდნენ მოწაფე გოგონები 5-15 წლამდე: ყველას ეტყობოდა პერინის მზრუნველი ხელი და სერგიევის და არბატოვის მხატვრული გემოვნება.

დილის თაიგულებად უნდა ჩაითვალოს, როგორც უკვე დასრულებული საბალეტო მსახიობნი – ლამაზი ოთხეული: ლ.ჩიკვაიძე, ლ.ბეგთაბეგიშვილი, მ.ბაუერი, ლ.გვარამაძე.

ვაჟთა შორის იშვიათი ტექნიკით, ცეცხლითა და ტემპერამენტით ცეკვავდა ვახტანგ ჭაბუკიანი, რომელსაც უსათუოდ დიდი მომავალი აქვს. ამ ნიჭიერ ბავშვს საჭიროა, ვისგანაც ჯერ არს, ამთავითვე მიექცეს სათანადო ყურადღება.

საზოგადოებას ძალიან მოეწონა პატარა კომიკური სცენა: „სტიოპა-რასტრიოპა“, რომელიც ცოცხლად და ხალისიანად ჩაატარეს და-ძმა ირა და დოდო ალექსიძეებმა. აღსანიშნავია ირას მსუბუქი და ელასტიური ცეკვა, დოდოს – მიმიკა. ეს ნომერი საზოგადოების მოთხოვნით განმეორებულ იქნა...

მეტად სასიხარულოა, რომ მომავალში ქართულ ოპერასთან პარალელურად იზრდება ბალეტი, სადაც იშვიათი ქართული ძალები გვეყოლება“.

მარია პერინიმ საქართველოში 48 წელი გაატარა და რაოდენ დიდი იყო მისი სიხარული, რომ მან იხილა მისი შრომის ნაყოფი. 1936 წელს მისმა განუმეორებელმა მოსწავლემ, ლეგენდარულმა ვახტანგ ჭაბუკიანმა კომპოზიტორ ანდრია ბალანჩივაძის მუსიკაზე შექმნა პირველი ქართული საბალეტო სპექტაკლი „მზეჭაბუკი“. დასში მთლიანად პერინის სტუდიის აღსაზრდელები ცეკვავდნენ.

მარია პერინის საფუძველჩაყრილი ქართული საბალეტო სკოლის აღმავლობა შემდგომში ვახტანგ ჭაბუკიანის სახელს უკავშირდება.

ჭაბუკიანი

27 თებერვალს ვახტანგ ჭაბუკიანს დაბადებიდან 96 წელი შეუსრულდა

დიდი ადამიანების ცხოვრებაზე სჩვევიათ ლეგენდების შეთხზვა. მაგრამ მის ბიოგრაფიას ასეთი რამ არ სჭირდება. იგი თავად იყო კაცი-ლეგენდა, რომელმაც მთელი ეპოქა შექმნა ქართულ ბალეტში.

ახალი თითქოს რა უნდა თქვა ვახტანგ ჭაბუკიანზე, XX საუკუნის განუმეორებელ მოვლენაზე, რომლის სახელთან დაკავშირებულია ქართული საბალეტო სკოლის, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის შექმნა, პირველი ქართული ბალეტის დადგმა; მაგრამ მასზე უნდა ვილაპარაკოთ ყოველთვის, რადგან ჭაბუკიანი არის მარადცოცხალი ფენომენი, რომლის სახელი და განვლილი შემოქმედებითი გზა მისაბაძი და ნათელი მაგალითია იმ ახალგაზრდობისათვის, ვინც გადაწყვიტა თავისი შემოქმედებითი ცხოვრება ქართულ ბალეტს დაუკავშიროს.

იგი უამრავ სიხარულს ჩუქნიდა მაყურებელს. თავად მაყურებელიც არ იშურებდა სიყვარულს, აღფრთოვანებას, ოვაციას. მან დაიპყრო მსოფლიოს მრავალი სცენა და ყველას აჩვენა ცეცხლოვანი ქართული სული. ცნობილი ფაქტია, რომ „კარნეგი ჰოლში“ სამი დიდი ხელოვანის პორტრეტი ჰკიდია: ფეოდორ შალიაპინის, ანა პავლოვას და ვახტანგ ჭაბუკიანის.

ახალგაზრდობაში მას ჰქონდა ერთი საკონცერტო ნომერი – რუბინშტეინის ოპერა „ფერამორსის“ მუსიკაზე შექმნილი „ცეცხლის ცეკვა“. ფეხშიშველი ჭაბუკი ანთებული ჩირაღდნებით ხელში, წითელი ტოგით – ტანზე, სცენაზე სასწაულებს ახდენდა. მაშინ იგი 18 წლის ჭაბუკი იყო, პერინის სტუდიის კურსდამთავრებული, რომელზედაც მხოლოდ მარია პერინი არ ამყარებდა დიდ იმედებს; საზოგადოება მისგან ელოდა ქართული ბალეტის აღორძინებას. ჭაბუკი ჭაბუკიანი სასწავლებლად სანკტ-პეტერბურგში წავიდა და მალე მარიის თეატრის სოლისტი გახდა. იგი ცეკვავდა მარინა სემიონოვასთან და ალა შელესტთან, გალინა ულანოვასთან, მაია პლისეცკაიასთან და რაისა სტრუჩკოვასთან, ინგლისელ ბერილ გრეისთან და განუმეორებელ ფრანგ ივეტ შოვირესთან... სპექტაკლებს დგამდა კიროვისა და დიდ თეატრებში, უნგრეთში, არგენტინაში, ფილიპინებზე, ირანში, კიევში... მისი საბალეტო დადგმებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ლაურენსია“, რომელიც პირველად 1939 წელს სანკტ-პეტერბურგში კიროვის (ახლა მარიის) თეატრში განახორციელა. „ლაურენსია“ საპროგრამო განაცხადი იყო ჭაბუკიანის შემოქმედებაში. მაგრამ, მისთვის მთავარი და უპირველესი ქალაქი თბილისი იყო, უპირველესი თეატრი-თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი; აქ შექმნა მან პირველი ქართული ბალეტი. აქ, ამ სცენაზე იცეკვა განუმეორებელი „ოტელო“, რომლითაც აღფრთოვანებულმა ბელგიის დედოფალმა 1958 წელს თქვა: „მე ვიყავი მეტად ბედნიერი, რომ ვნახე და მოვისმინე შესანიშნავი ბალეტი „ოტელო“, ასეთი ჩინებული შესრულებით“. ჭაბუკიანის ყველაზე ხანგრძლივი პარტნიორი ვერა წიგნაძე იგონებს, რომ „ამას ცეკვა არ ერქვა, ეს რაღაც სხვა იყო, მთლიანად რომ გიპყრობდა“.

ქართულ ბალეტში ჭაბუკიანის ნოვაცია ვაჟის ცეკვის წინა პლანზე წამოწევაა, რომელმაც ახალი სახე შესძინა ბალეტს. ეს პრინციპი ეროვნულ ძირებს, ხალხური შემოქმედების ელემენტების კლასიკასთან ორგანულად შერწყმას უკავშირდება.

დღეს ჭაბუკიანის შემოქმედებას, საბედნიეროდ, რამდენიმე ჩანაწერით ვიცნობთ. იგი კვლავ რჩება მეტრად ქართულ ბალეტში. ასე ფიქრობს ის თაობა, რომელიც დღეს მოვიდა საბალეტო დასში და ქმნის ახალ სახეებს ახალ სპექტაკლებში. რა გასახარი იქნებოდა მისთვის ქართული ბალეტის ეს აღმავლობა!

თბილისს ლეგენდარული მიხეილ ლავროვსკი ეწვია, რომელიც საბალეტო დასთან ერთად ახალ საპრემიერო სპექტაკლზე მუშაობს. ლავროვსკი რამდენიმე წლის მანძილზე სათავეში ედგა თბილისის საბალეტო დასს. ამ პერიოდიდან ცნობილია მის მიერ განხორციელებული გერშვინის „პორგი და ბესი“ და პროკოფიევის „რომეო და ჯულიეტას“, მამის – ლეონიდ ლავროვსკისეული დადგმა.

დიდი თეატრის ისტორიაში მიხეილ ლავროვსკის თვალსაჩინო ადგილი უკავია. იგი, როგორც მოცეკვავე და მსახიობი ყოველთვის იყო რომანტიკული გმირი, შესანიშნავი, ვირტუოზული შემსრულებელი. ბალეტის მოყვარულებს კარგად ახსოვთ მისი განუმეორებელი სპარტაკი, ბაზილი... საინტერესოა იგი, როგორც დამდგმელი ბალეტმაისტერი. ცნობილია მისი „კაზანოვა“, „ნიჟინსკი“ და „მატადორი“... რომლებიც რამდენიმე წელია ცოცხლობენ თეატრების რეპერტუარში.

ამას წინათ მიხეილ ლავროვსკის 60 წლის იუბილე შეუსრულდა, რომელიც ზეიმით აღინიშნა მოსკოვში. სწორედ ამ იუბილეზე მიმართა მას რუსეთის კულტურის მინისტრმა სიტყვებით: „როცა დიდი თეატრის სცენაზე არიან ისეთი მსახიობები, როგორიცაა მიხეილ ლავროვსკი, მინისტრები საჭირონი აღარ არიან“.

რამდენიმე დღით მიხეილ ლავროვსკი თბილისში იმყოფებოდა. მან უკვე დაიწყო მუშაობა „რომეო და ჯულიეტაზე“ და საიმისო დროც გამონახა, ჟურნალისტ ნინო მდივანაძის შეკითხვებზე ეპასუხა.

მიხეილ ლავროვსკი:

„ახალი სპექტაკლი ცოტათი თანამედროვე იქნება“

თქვენ ამჟამად სტანისლავსკის მუსიკალურ თეატრში მოღვაწეობთ. გვიამბეთ ამ თეატრის შესახებ.

სტანისლავსკის თეატრში დიმიტრი ბრიანცევის გაუჩინარების შემდეგ მიმიწვიეს, სადაც ძალიან საინტერესო და თავისთავადი ხელწერის მქონე დასია. მე, ასე ვთქვათ, დიდი თეატრის ტრადიციების მემკვიდრე გახლავართ; ამდენად ჩემი თვალთახედვა მაქვს რეპერტუართან დაკავშირებით. ვერ ვიტყვი, რომ ძალიან მომწონს თეატრის რეპერტუარი. ერთადერთი, რაც შევძელი ამ ეტაპზე არის ის, რომ მცირე დარბაზის სცენა დავუთმე იმ ადამიანებს, რომლებიც ნამდვილად უნდა დგამდნენ სპექტაკლებს. მოვიწვიეთ ერთი პეტერბურგელი და ორი მოსკოველი რეჟისორი. თუ შევძელით და დავმეგობრდით მე და სტანისლავსკის თეატრი, მაშინ იქ განვახორციელებ დადგმებს, რომლებიც ნამდვილად შეეფერება ამ თეატრს.

როგორც საქვეყნოდ ცნობილი ადამიანების – გენიალური ბალეტმაისტერის ლეონიდ ლავროვსკისა და დიდი თეატრის ბალერინას ელენე ჩიკვაიძის შვილს, ალბათ, ბევრი ვალდებულებაც გაკისრიათ...

ცხადია, ჩემი ცხოვრება ბავშვობიდანვე დაუკავშირდა ბალეტს. თუმცა ვაღიარებ, რომ ბუნებით არა ვარ კაცი, რომელიც ამ ხელოვნებას უნდა ემსახურებოდეს. ბალეტი უმშვენიერესი ხელოვნებაა, რომელსაც არ სჭირდება სამეტყველო ენა. აქ მუსიკისა და პლასტიკის შერწყმით მიიღება სილამაზე. სავსებით არ ვეთანხმები ბალეტის ევროპულ მიმდინარეობას. ევროპული ბალეტი ელეგანტურია, მაგრამ იქედან მხოლოდ კარგი უნდა გადმოვიღოთ, და არა ყველაფერი. ვწუხვარ, რომ ზოგადად კულტურისადმი დამოკიდებულება შეცვლილია. არც თუ

მიხეილ ლავროვსკი და ლალი კანდელაკი
„რომეო და ჯულიეტას“ რეპეტიციაზე. თბილისი 2006 წელი

შორეულ წარსულში ნაკითხი ადამიანები ძალიან ბევრნი იყვნენ, დღეს, სამწუხაროდ, სხვა რეალობაა. ე.წ. „ბულვარული ლიტერატურის“ მკითხველებს არ შეიძლება გემოვნებიანი ვუწოდოთ. ახალგაზრდა თაობა მშვენიერებას უნდა ვაზიაროთ. ადამიანს ღმერთმა შემეცნების, სილამაზის აღქმისა და ჭეშმარიტების შეცნობის უნარი უბოძა. მენანება ის ძვირფასი დრო, რასაც ახალგაზრდები უქმად ფლანგავენ. ვიღაცას შესაძლოა გაუჩნდეს მოსაზრება, რომ ვარ რეტროგრადი, ეს მისი ნებაა, რაც უნდა ის მიწოდოს. მხოლოდ ერთი რამ მინდა – ახალგაზრდებმა შეიგრძნონ და შეიცნონ ხელოვნებაში ღირებული და მარადიული.

ბატონო მიხეილ, თქვენ თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სცენაზე დგამთ პროკოფიევის ბალეტს „რომეო და ჯულიეტას“... რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მას მამისეული ვერსიის მიხედვით ახორციელებთ...

მამაჩემის მიერ დადგმული „რომეო და ჯულიეტა“, მართლაც გრანდიოზული სპექტაკლი იყო. მისი დადგმიდან სამოცი წელი გავიდა, მაგრამ დღემდე იმდენად აქტუალურია, რომ ნებისმიერი რეჟისორი ამ დადგმიდან იღებს მაგალითს. მეტსაც გეტყვით, ძეფირელმაც კი თავისი ფილმი, პრაქტიკულად, ამ ბალეტზე დაყრდნობით გადაიღო. ულანოვა არ ცეკვავდა ისე, უბრალოდ, როგორც საერთოდ ცეკვავენ. იგი იყო არაჩვეულებრივი ლირიული მსახიობი, რომლის ხელოვნებამ ყოველგვარ საზღვრებს გადააჭარბა და რაღაც ზეციური შექმნა. ულანოვა და ერმოლაევი – გასაოცრები იყვნენ, მათ მოხიბლეს მსოფლიო.

რაც შეეხება ჩემს წამოწყებას ქართულ საბალეტო დასთან, ვიტყვი, რომ შერჩეულ სამ წყვილთან საინტერესოდ მიმდინარეობს მუშაობის პროცესი. მაგრამ ახლა სხვა დროა, სხვა ტემპია საჭირო. მაგალითისათვის ერთ რამეს ვიტყვი, ძალიან მიყვარს ნეორეალიზმი იტალიურ კინოში. მაგრამ ახალგაზრდა თაობას, წიგნიერსაც კი, ალბათ, გაუჭირდება მისი აღქმა. მიზეზი მარტივია – იქ სხვა ტემპია. იგივეს ვიტყოდი „რომეო და ჯულიეტაზე“. საჭიროა მცირედი რესტავრაცია, რომ ის ცოტა თანამედროვე გახდეს! თუმცა ეს არ იქნება „მოდერნი“. რასაკვირველია, გემოვნებიანი რესტავრაცია უნდა მოხდეს. სხვათა შორის, გემოვნება ნიჭის ნაწილია.

რას იტყოდით ქართული საბალეტო დასის სამხატვრო ხელმძღვანელზე ქალბატონ ნინო ანანიაშვილზე?

ნინო, მართლაც, ვარსკვლავი პრიმა-ბალერინაა. ამით ახალს არაფერს ვამბობ. ეს ყველამ იცის. დიდ თეატრში, სადაც საკმაოდ ძნელია ადგილის დამკვიდრება, ნინომ უმალვე მოიპოვა ავტორიტეტი. იგი სრულიად პატარა იყო, როცა პირველად შევხვდი. ვიღებდი „მწირს“. მოიყვანეს ნინო, რომელიც მაშინვე მომეწონა. მერე წამოვიდა მოსკოვში და აღიარებამაც არ დააყოვნა. მიხარია, რომ ძალიან აქებენ, როგორც ხელმძღვანელს. არ შემიძლია, არ აღვნიშნო, მისი ადამიანურობა. მან უდიდესი პატივი დასდო თავის პედაგოგს, ქალბატონ რაისა სტრუჩკოვას, რომელსაც ნინო სიცოცხლის ბოლო წუთამდე არ მოსცილებია. იგი ძლიერი და კარგი ადამიანია.

ქართულ საბალეტო დასს უამრავ წარმატებას და სიკეთეს ვუსურვებ! ვიმედოვნებ, რომ აპრილში კვლავ ვესტუმრები თბილისს და ქართველ მაყურებელს განახლებულ „რომეო და ჯულიეტას“ შევთავაზებთ.

„ჟიზელს“ მაყურებელი მარტის ბოლოს იხილავს

ალექსეი ფადეეჩევი და ტატიანა როსტორგუევა „ჟიზელის“ რეპეტიციაზე. თბილისი, 2006 წელი

მარტის ბოლოს ბალეტის მოყვარულებს თეატრი კიდევ ერთ პრემიერაზე იწვევს. საბალეტო დასი ადანის „ჟიზელს“ წარმოადგენს, რომლის დადგმას ალექსეი ფადეეჩევი განახორციელებს, რომელსაც დახმარებას, მეუღლე – ტატიანა როსტორგუევა გაუწევს. მათ ჩვენ დასთან პირველად არ უწევთ შეხვედრა. გასულ სეზონზე ფადეეჩევის რედაქციით დაიდგა „გედების ტბა“ და „დონ კიხოტი“.

„ჟიზელი“, რომლის მსოფლიო პრემიერა 1841 წლის 28 ივნისს გაიმართა პარიზში, უკვე რამდენიმე ათეული წელია მსოფლიოს ყველა საბალეტო თეატრის რეპერტუარის ერთ-ერთი გამორჩეული სპექტაკლია. იგი დღემდე ითვლება რომანტიკული ბალეტის მწვერვალად. „ჟიზელის“ კლასიკური ვერსიებიდან განსაკუთრებით ცნობილია მარიუს პეტიპას რედაქცია, რომლის პრემიერა სანკტ-პეტერბურგში 1842 წლის 18 დეკემბერს გაიმართა.

ალექსეი ფადეეჩევმა და ტატიანა როსტორგუევამ უკვე დაიწყეს რეპეტიციები დასის მსახიობებთან. ისინი კმაყოფილნი არიან როგორც სოლისტების, ასევე კორდებალეტის მუშაობით. სპექტაკლში მთავარ პარტიებს იცეკვებენ ლალი კანდელაკი, ანა მურადელი, ნინო გოგუა, ირაკლი ბახტაძე, დათო და ლაშა ხოზაშვილები.

„არაბესკთან“ საუბრისას ალექსეი ფადეეჩევმა მომავალი სპექტაკლის შესახებ განაცხადა: „ჟიზელს“ კლასიკური ვარიანტით ვდგამთ, უფრო საინტერესო რედაქციით. ოდნავ სახეცვლილია მიზანსცენები, მონაწილეთა გაცილებით მეტი რაოდენობაა პირველ აქტში. მეორე აქტის ქორეოგრაფია მთლიანად კლასიკური ვარიანტის იდენტურია. შეიძლება ითქვას, დეტალები ჩემი რედაქციითაა შეცვლილი და დადგმული. თბილისში დადგმულ „ჟიზელში“ გამოვიყენე დეტალები, რომლებიც მრავალფეროვანს ხდის ბალეტს. საერთოდ, არ მიყვარს მოსაწყენი ბალეტის ნახვა. მომწონს, როცა ბალეტი სანახაობრივად მშვენიერი, ლამაზი და ცოცხალია. მე ბალეტით პროფესიონალურად ვარ დაკავებული და ვცდილობ, რომ ჩემს მიერ დადგმული ბალეტი იყოს ლამაზი და საყურებლად სასიამოვნო“. დამდგმელ ქორეოგრაფს თეატრში მუშაობის ყველა პირობა აქვს შექმნილი. როგორც თავად აღნიშნავს, „ეს ხელისუფლების მხრიდან ბალეტისადმი უდიდესი მხარდაჭერის შედეგია. წინააღმდეგ შემთხვევაში, თეატრის წინსვლა გამორიცხული იქნებოდა. როცა პრეზიდენტი აცხადებს, რომ ბალეტი ეროვნული პროგრამის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია, ეს კოლოსალური დახმარების ტოლფასია, სამწუხაროდ, რუსეთში ამგვარი მიდგომა სანატრელია“.

2 თებერვალს დიდ თეატრში სერგეი პროკოფიევის ბალეტის „კონკიას“ პრემიერა გაიმართა (ლიბრეტო ნიკოლოზ ვოლკოვის). ქორეოგრაფია იური პასხოვმა, ხოლო დადგმა – იური ბარისოვმა განახორციელეს. მთავარი პარტიები პრემიერაზე შეასრულეს სვეტლანა ზახაროვამ (კონკია) და სერგეი ფილინმა (პრინცი).

24 მარტს დიდ თეატრში კვლავ პრემიერა გაიმართება. საბალეტო დასი წარმოადგენს დიმიტრი შოსტაკოვიჩის ორაქტიან ბალეტს „ოქროს საუკუნე“ (ლიბრეტო იური გრიგოროვიჩისა და ისააკ გლიკვანის, სცენოგრაფია და კოსტიუმები სოლომონ ვირსალაძის), რომელიც 1982 წლის სპექტაკლის აღდგენილი რედაქცია იქნება.



ინგლისის სამეფო ბალეტის წამყვანი სოლისტი, დარსი ბასსელი მიმდინარე სეზონის შემდეგ სცენას დატოვებს. მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ ბალერინა თავისი მოღვაწეობის პიკშია და მშვენიერ ფორმას ინარჩუნებს. ბალეტის ვარსკვლავმა განაცხადა, რომ სურს სცენა დატოვოს ღირსეულად, ვიდრე ასაკი თავისას იზამს. დარსი ბასსელი 36 წლისაა. ინგლისის სამეფო ბალეტში იგი 1987 წელს, 18 წლის ასაკში მოვიდა და 20 წლისა თეატრის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა სოლისტი გახდა. მისი ყველაზე ცნობილი პარტიები იყო – ოდეტა-ოდილია „გედების ტბაში“, პრინცესა ავრორა „მძინარე მზეთუნახავში“, ნიკია „ბაიადერაში“, ჟიზელი „ჟიზელში“. დარსის ორი პატარა ქალიშვილი ჰყავს და აპირებს მთელი ძალები და დრო მათ აღზრდას მიუძღვნას.



სანკტ-პეტერბურგის მარიას თეატრში 16 მარტს ჩეზარე პუნის ბალეტის „უნდინას“ პრემიერა გაიმართება. ქორეოგრაფია, დეკორაციებისა და კოსტიუმების დიზაინი პერ ლაკოტს ეკუთვნის. ამ პრემიერით მარიის თეატრში გაიხსნება მეექვსე საერთაშორისო ტრადიციული საბალეტო ფესტივალი, რომლის პროგრამის ფარგლებში ბალეტის მოყვარულები მრავალ საინტერესო სპექტაკლს იხილავენ. გაიმართება რამდენიმე ბენეფისი, მათ შორის – დიდი თეატრის პრემიერის ნიკოლოზ ცისკარიძის.

ლალი კანდელაკი ცეკვავს თქვენთვის

ლალი კანდელაკისთვის ბალეტის პირველი აღქმა „გედების ტბაზე“ მიღებულ შთაბეჭდილებას უკავშირდება. მაშინ იგი 9 წლის იყო. თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელში იმ დროს მიიყვანეს, როცა გამოცდები მთავრდებოდა. შეხედეს ამ პატარა ტანის გოგონას და ვნახოთო, თქვეს. ერთ დღეს მის კლასში თავად ვახტანგ ჭაბუკიანი შევიდა და გამოაცხადა, მომავალი წლიდან ეს გოგო ჩემს კლასში ისწავლისო. ზუსტად ახსოვს თითოეული მეცადინეობა, თითოეული პას ჭაბუკიანისეული ინტერპრეტაცია. მას დიდად ემადლიერება, ისევე როგორც, მადლიერია თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის პედაგოგების – ნინო დიდებულიძის და მარგალიტა გრიშკევიჩის.

საბალეტო დასის სოლისტის რანგში ლალი კანდელაკის დებიუტი გოგი ალექსიძის მიერ დადგმულ „კონკიაში“ შედგა. 1997 წელს ედინბურგში გამართულ საერთაშორისო ფესტივალზე გოგი ალექსიძის „სიმფონიურ ცეკვებში“ შესრულებულმა პარტიამ გამარჯვება მოუტანა. წარმატება მას სხვაც ჰქონდა. ვარნის XIX საერთაშორისო საბალეტო კონკურსზე 2000 წელს I პრემია და ოქროს მედალი დაიმსახურა. ამ დროს ლალი თურქეთის ქ. მერსინის საბალეტო დასში ცეკვავდა, რომელსაც ნუკრი და მედეა მაღალაშვილები ხელმძღვანელობდნენ. 2003 წლიდან კი მშობლიური თეატრის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტია. ნინო ანანიაშვილის მოსვლის შემდეგ დასში სერიოზული ცვლილებებია და იგი მთლიანად ამ საქმეშია ჩართული. ცეკვავს თითქმის ყველა საყვარელ და წამყვან პარტიას. მან ბალეტს მისცა ყველაფერი. ბალეტის გარეშე ცხოვრება არ შეუძლია. ლალი ბოლომდე იხარჯება მაყურებლისთვის. არც მაყურებელი იშურებს ოვაციას, როცა მის ტექნიკურად ზუსტად შესრულებულ მოძრაობებს უყურებს. ასე ხდება მაშინაც, როცა ყოველგვარი დაბრკოლების მიუხედავად, გულშემატკივრები თეატრში მაინც მოდიან. იანვრის ენერგოკრიზისის დღეებში ლალი სწორედ გადაჭედილი დარბაზის წინაშე გადმოსცემდა ოდეტა-ოდილიას სიყვარულითა და დრამატიზმით აღსავსე თავგადასავალს. იგი ხომ ყოველთვის მაყურებლისთვის ცეკვავს!

აპოლონი – ლაშა ხოზაშვილის საყვარელი პარტია!

ცეკვო აპოლონი, ეს ნიშნავს რომ ცეკვის ღირსი ხარ. ლაშა ხოზაშვილისთვის ეს პარტია ნამდვილი საჩუქარი იყო. ლაშა თბილისის საბალეტო დასის ყველაზე ახალგაზრდა წამყვანი სოლისტია, აპოლონი კი – მისი ყველაზე საყვარელი პარტია, რომლის შესრულებისას მთელ ენერგიას ხარჯავს, ყოველთვის სხვადასხვანაირი ემოციით ასრულებს და შეუძლია თითქმის ყოველდღე იცეკვოს.

ბალანჩინის ქორეოგრაფიასთან შეხვედრა ლაშასთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მისი ბალეტების შესრულება საჭირო ნაბიჯია მოცეკვავის პროფესიული ზრდისათვის. „აპოლონ მუსაგეტი“ ჩვენი თეატრის რეპერტუარში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული სპექტაკლია. ლაშა ხოზაშვილის აპოლონი კი მოცეკვავის ყველაზე წარმატებული როლი. ამ წარმატებებს ლაშა საბალეტო დასში ნინო ანანიაშვილის მოსვლის შემდეგ მომხდარ ცვლილებებს უკავშირებს, რომელმაც საშუალება მისცა თითქმის ყველა მთავარი პარტია შეესრულებინა.

მასზე იმედებს საბალეტო სასწავლებლიდანვე ამყარებდნენ. III კურსის მოსწავლემ 2002 წლის თებერვალში ვახტანგ ჭაბუკიანის საიუბილეო საღამოზე იცეკვა ადაჟიო „ოტელოდან“. ერთ კვირაში მომზადებული პარტიის შესრულების დროს მას თავად ჭაბუკიანის კოსტიუმი ჩააცვეს. ლაშას უძნელდება სიტყვებით გადმოსცეს განცდა, რომელიც ამ დროს დაეუფლა. საღამოს წამყვანმა, კოტე მახარაძემ, მის მიერ შესრულებული ნომრების შემდეგ საქებარი სიტყვები არ დაიშურა.

პრინცი ალბერი – ირაკლი ბახტაძის ბედნიერი დებიუტი

თეატრალების ოჯახში დაბადებულ ირაკლი ბახტაძეს თავიდან არც უფიქრია ბალეტის მსახიობი გამხდარიყო. გადაწყვეტილება თბილისის ქორეოგრაფიული სასწავლებლის II კურსზე სწავლისას მიიღო. შემდეგ მოსკოვის ქორეოგრაფიული სასწავლებელი დაამთავრა. ორი წელი სანკტ-პეტერბურგის ბორის ეიფმანის თეატრში მუშაობდა. მერე კი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი გახდა.

მისი დებიუტი „ჟიზელში“ შედგა, სადაც ალბერის პარტია იცეკვა, რომელიც მას ძალიან უყვარს. ეს პარტია ირაკლისთვის ბედნიერი დებიუტი გამოდგა. დღეს მის რეპერტუარში ყველა წამყვანი პარტიაა.

ირაკლის პარტნიორებში ნამდვილად გაუმართლა. მართლაც ღვთის საჩუქარი იყო ის, რომ ნინო ანანიაშვილთან ერთად იცეკვა „მანკატუნაში“. რამდენიმე წლის შემდეგ, პრეზიდენტის ინაუგურაციისადმი მიძღვნილი კონცერტის წინ, ახლობელმა დაურეკა და ჰკითხა, ნინო ანანიაშვილს აინტერესებს იცეკვებს თუ არა მასთან ერთად პადე-დეს „დონ კიხოტიდან“. უცნაურად დასმულ ამ შეკითხვაზე ერთხანს პასუხიც ვერ მოიფიქრა. ასეთ ვარსკვლავთან ცეკვაზე უარს ვინ იტყვის. „საოცარი პარტნიორია, არ გზღუდავს, თანამშრომლობს შენთან და ყველანაირ დაძაბულობას გიხსნის“, – ამბობს ირაკლი. რამდენიმე წელია ლალი კანდელაკთან ერთად ცეკვავს, რომელიც საბალეტო დასის ერთ-ერთ გამორჩეულ ბალერინად მიაჩნია. იგი ორი წელი იგი ქ.მერსინის (თურქეთი) ოპერისა და ბალეტის თეატრში, შემდეგ კი ბუდაპეშტის „არტ ბალეტში“ ცეკვავდა. ამ მოცეკვავის ხელწერა ლამაზი ფაქტურა, დიდი ნახტომი და სიმსუბუქეა. წინ მას მრავალი საინტერესო პარტიის შესრულება ელის. დიდი სურვილი აქვს იცეკვოს სოლორი „ბაიადერაში“. ასეთივე ოცნებად ჰქონდა ბაზილის პარტიის შესრულება „დონ კიხოტში“, რომელიც ბედნიერი შემთხვევის წყალობით მაკედონიის თეატრის სცენაზე აუხდა.

საბალეტო დასში მიმდინარე სასიკეთო ძვრები იმედიანად განაწყობს ირაკლის, რომლისთვისაც ბალეტი არის ცხოვრება, რომლის გარეშე მას არ შეუძლია.

ერთი წლის შემდეგ კი „მაკნატუნაში“ პრინცის პარტია შეასრულა. ეს იყო ლაშას დებიუტი დიდ სცენაზე, რომელსაც მოჰყვა წამყვანი პარტიები სპექტაკლებში „დონ კიხოტი“, „ჩაკონა“, „მოცარტიანა“, „ამაო სიფრთხილე“, „ზაფხულის ღამის სიზმარი“, „წამი გარდასახვამდე“, „სიზმრები იაპონიაზე“. მიმდინარე სეზონზე მან პირველად იცეკვა პრინცი „გედების ტბაში“. ლაშას უფრო ენერგიულად შესასრულებელი პარტიები უყვარს, ამ დროს უფრო იხარჯება, უფრო მეტად ჩანს მისი ინდივიდუალობა. სურვილი აქვს იცეკვოს სოლორი „ბაიადერადან“. ბავშვობიდან ოცნებობს სპარტაკის შესრულებაზე.

ლაშა ხოზაშვილი არის მოცეკვავე, რომელიც გრძნობს მუსიკას, ამიტომაც მისი შესრულება ზუსტი, სიცოცხლით სავსე და ნათელია, ჰაერში შესრულებული ნახტომები კი – მსუბუქი, თავისუფალი და ენერგიული.

სცენაზე გასვლის წინ ლაშას არა აქვს განსაკუთრებული ღელვა. პირიქით, უნდა რაც შეიძლება მალე გავიდეს და იცეკვოს. ხშირად მიმართავს იმპროვიზაციას, წამიერად იღებს გადაწყვეტილებას შეცვალოს მოძრაობა; გრძნობს დარბაზს და როცა პაუზა აქვს, ათვალიერებს კიდეც თაყვანისმცემლებს, რომლებიც ბოლო დროს მოუმრავლდა. მაგრამ ამჟამად უფრო საინტერესო ისაა, რომ სეზონის ბოლომდე ლაშა კიდევ რამდენიმე ახალ პარტიას იცეკვებს.

დავით ხოზაშვილი – ქართული ხასიათი ცეკვაში

დავით ხოზაშვილის მონაცემები ქორეოგრაფიაში ბავშვობიდანვე თვალნათელი იყო, მაგრამ ბალეტის მსახიობად გახდომა დიდ თეატრში, ვახტანგ ჭაბუკიანის ბენეფისზე, მიღებულმა შთაბეჭდილებამ განაპირობა. დათო ქართულ ცეკვებს ასრულებდა. მოსკოვიდან დაბრუნებულმა თბილისის ქორეოგრაფიულ სასწავლებელს მიაკითხა და 14 წლისამ ხუთი წლის მასალა ერთ წელში აითვისა.

დღეს დათო ხოზაშვილი თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის წამყვანი სოლისტია. იგი არ არის მსახიობი, რომელსაც მხოლოდ კარგი ტექნიკა აქვს. მის შესრულებულ პარტიებს გამოარჩევს გამოხატული ინდივიდუალობა, იმპროვიზაციის უნარი, რაც თვალსაჩინოა სცენაზე დათოს ყოველი გამოსვლისას. სახასიათო პარტიები მას კარგად გამოსდის. ამ სეზონზე ასევე დასამახსოვრებელი იყო ბალანჩინის „დონიცეტის ვარიაციებში“ შესრულებული სოლო პარტია და მისი თავბრუდამხვევი პირუეტები.

მისი თითოეული მოძრაობა ხასიათის სიზუსტითაა გადმოცემული. მაყურებელს მოსწონს ზიგფრიდი („გედების ტბა“), რომელიც პირველ თეთრ სცენაში ოდეტაზე შეყვარებული პრინცის ლირიკულ სახეს ქმნის, მეორეში კი – პატიების მთხოვნელი, მაგრამ შინაგანი რწმენით სავსე, თავისუფლებისმოყვარე პრინცის ვარიაციას გვთავაზობს. ის ფიქრობს, რომ მთავარი არ არის მაყურებელი ერკვეოდეს ბალეტის ნიუანსებში, იცოდეს ყველა ტერმინი, მთავარია მათ ნახონ კარგი სპექტაკლი და მიიღონ ესთეტიკური სიამოვნება: „ვცდილობ მაყურებელს მივცე ის, რასაც ჩემგან ელის, ბოლომდე დავიხარჯო მათთვის“.

დათოს აზრით, ვახტანგ ჭაბუკიანის მიერ ქართულ ბალეტში შექმნილი ეროვნული მუხტი, რომელმაც წინა პლანზე წამოსწია მამაკაცის ცეკვის როლი (თუმცა თვითონ ჯორჯ ბალანჩინის მოსაზრებას იზიარებს, რომ ბალეტში მეფობს ქალი), შესრულების ცეცხლოვანი ტემპერამენტი და აკადემიზმი საფუძველს ქართულ ხასიათში იღებს. სცენაზე გარდასახვისათვის კარგ პარტნიორებთან, სპეციფიკური ლიტერატურის ცოდნასთან ერთად, მას ძალიან ეხმარება ქართული ხალხური ცეკვების კარგად ცოდნა (გავიხსენოთ მისი აკადემიური ქართული ცეკვა „დაისის“ საბალეტო სცენიდან) და ალბათ, გენეტიკაც. დათოს მშობლები ხომ მოცეკვავეები არიან. ბალეტის წამყვანი სოლისტია მისი ძმა – ლაშა ხოზაშვილი.

ცისია ჩოლოყაშვილის მხიარული ჩელიტა

ცეკვა ადრეული ასაკიდან დაიწყო. ხელოვნების სკოლაში ხუთი წლის მიიყვანეს და იური ზარეცკის ჩააბარეს, შემდეგ ლიანა ხიჯავაძე ამეცადინებდა. თავად მიიღო გადაწყვეტილება ქორეოგრაფიულ სასწავლებელში ჩაებარებინა გამოცდები. 9 წლის ცისია ჩოლოყაშვილი თამარა ვიხოდცევას კლასში ჩარიცხეს. პედაგოგებში ნამდვილად გაუმართლა. ჯერ მოსკოვიდან გადმოსული არაჩვეულებრივი პედაგოგი ნატალია ზოლოტოვა, ხოლო ორი წელი პერმიდან ჩამოსული ნინელ სილვანოვიჩი ასწავლიდნენ.

ცისია საკუთარ კარიერაზე დიდ იმედებს არ ამყარებდა. კორდებალეტშიც უკანა რიგებში იდგა. საკუთარ შესაძლებლობებს დღესაც კრიტიკულად აფასებს, თუმცა ახლა თეატრის წამყვანი სოლისტია. პირველი როლი 1993 წელს საბავშვო ბალეტში – „ექიმი აიბოლიტი“ – მისცეს, რაც მისთვის მნიშვნელოვანი მოვლენა იყო. გარდატეხა კი „მაკნატუნას“ პრემიერაზე მოხდა, როცა დამდგმელმა ქორეოგრაფმა იური გრიგორევიჩმა მარის პარტიის შესრულება მიანდო. დღეს ცისიას რეპერტუარში სხვა წამყვანი პარტიებიცაა, თუმცა მისი ოცნება ჩელიტას როლის

ნინო ოჩიაურის ლეა

გემოდგომაზე ახალი სეზონი საბალეტო დასმა პრემიერით გახსნა. ალექსეი რატმანსკის „ლეა“ სპეციალურად ნინო ანანიაშვილისთვის დაიდგა დიდ თეატრში. სპექტაკლის თბილისურ პრემიერაზე კი მთავარი პარტია ნინო ოჩიაურმა შეასრულა. ლეა მისი ერთ-ერთი საინტერესო სახეა.

ნინო ანანიაშვილის ძალიან მადლიერია. 9 წლის ასაკში სწორედ მან მოკიდა ხელი და ქორეოგრაფიულ სასწავლებელში თავის პედაგოგს, თამარ ვიხოდცევას, ჩააბარა. მოგვიანებით ნინო „მოსკოვის რენესანსის ბალეტის“ დასში ცეკვავდა. პრაქტიკა გაიარა დიდ თეატრში მარია სემიონოვას კლასში.

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრში ნინო 1997 წლიდან ცეკვავს, როგორც სოლისტი. გოგი ალექსიძესთან მუშაობის შემდეგ თანამედროვე ბალეტი უფრო მეტად აინტერესებს. ამ ადამიანის ძალიან მადლიერია, რადგან მის ბალერინად ჩამოყალიბებაში დიდი როლი მიუძღვის. ქორეოგრაფმა ნინოსთვის რამდენიმე ცეკვაც შექმნა – ყანჩელის „ტანგოს მაგიერ“, პერსელის „დიდონა“, ალანბერგის „სიუიტა“, რომლებმაც ედინბურგის ფესტივალზე ნინოს წარმატება მოუტანა.

მას იმაშიც გაუმართლა, რომ „ლეას“ პრემიერაზე სერგეი ფილინი უწევდა პარტნიორობას; მღელვარება და მორიდება თავად ფილინმა გადაალახვინა, რაც დაეხმარა მოკრძალებული ებრაელი გოგოს – ლეას სახის შექმნაში, რომელსაც ახლდა როგორც სინაზე და მომხიბვლელობა, ასევე ჭეშმარიტად ტრაგიკული ჟღერადობა.

თბილისში განხორციელებულ ბალანჩინის ბალეტებში ნინომ ბევრი მნიშვნელოვანი პარტია შეასრულა. „სიმფონიურ ვესტერნში“ ცეკვა მისთვის სასიამოვნოა. „სერენადაში“ ცეკვის წინ ბევრს ფიქრობს. მისთვის ეს არის ბალეტი, სადაც ცეკვავს მუსიკა და არა ქორეოგრაფია.

ნინო ოჩიაურის რეპერტუარში კლასიკური საბალეტო პარტიებიც არის. რამდენიმე წლის წინ ნიკოლოზ ცისკარიძესა და ირმა ნიორაძესთან ერთად მირტას პარტია იცეკვა „ჟიზელში“. განსაკუთრებით ერთი ეპიზოდი ახსენდება მირტასა და პრინცი ალბერის სცენიდან, როცა მისკენ ხელგაწვდილი ნიკა ცისკარიძის თვალებში ამოიკითხა, რომ იგი მთლიანად გრძნობდა იმას, რასაც ცეკვავდა. ასეთი მაგალითები ხომ მოცეკვავისთვის დიდი სკოლაა. პარტნიორები დასშიც საუკეთესონი არიან და მათთანაც სიამოვნებით მუშაობს ახალ პარტიებზე, რომლითაც ნინო ოჩიაური წარსდგება მაყურებლის წინაშე.

შესრულება გახლდათ, რომელიც აუხდა კიდეც. იგი მისი საყვარელი პარტიაა, რომელშიც მთლიანად იხარჯება. ჩელიტას მოძრაობებში თავის შინაგან განწყობილებას დებს და ცდილობს ამ პერსონაჟის შექმნისას მხიარული, ენერგიული და სიყვარულით აღსავსე ესპანელი ქალი იცეკვოს.

მისთვის თანამედროვე ქორეოგრაფიაც საინტერესოა. მოსწონს მასში თავისუფლება, ინდივიდუალიზმი მოძრაობაშიც და ემოციაშიც.

თეატრში უკვე თორმეტი სეზონია ცეკვავს; ყოველთვის განიცდიდა, რომ მოძველებული კოსტიუმებითა და დეკორაციებით უხდებოდათ მაყურებელთან შეხვედრა. ნინო ანანიაშვილმა კი, ცისიას აზრით, თეატრში სილამაზე და სილაღე მოიტანა. სამუშაო ბევრია, რაც ბალერინასთვის სასურველიცაა და აუცილებელიც.

ამ ორი სეზონის მთავარ მოვლენად ცისია ბალანჩინის ქორეოგრაფიასთან შეხვედრას თვლის. იგი „სერენადაში“ ერთ-ერთ მთავარ პარტიას ასრულებს და თავს კომფორტულად გრძნობს. ბარტ კუკთან მუშაობამ მოცეკვავეს საშუალება მისცა ზუსტად გაეაზრებინა ყველა ნოტი, ყველა ნიუანსი. მას აქვს კიდევ ერთი გატაცება. ცისიამ რამდენიმე თეატრალური სპექტაკლის ქორეოგრაფიული სცენები შექმნა. სიამოვნებით იხსენებს რეჟისორ ნანა ხატისკაცთან თანამშრომლობას სპექტაკლში „სიბრძნე სიცრუისა“. მუშაობს ბავშვებთან, ძალიან გატაცებულია ამით და სამომავლოდაც არ გამორიცხავს ქორეოგრაფიაში მოსინჯოს ძალები.

ხელოვნება – ბავშვებს!

2006 წლის შობა-ახალი წლის დღეებში ნინო ანანიაშვილის ინიციატივით დაიწყო საქველმოქმედო აქცია „ხელოვნება-ბავშვებს“, რომლის ფარგლებში თეატრის საბალეტო დასმა სპექტაკლ „მაკნატუნაზე“ დასასწრებად მშობელთა მზრუნველობასმოკლებული, ინვალიდი და დევნილი ბავშვები თბილისისა ბავშვთა სახლებიდან, ინვალიდ ბავშვთა საზოგადოებებიდან, ბორჯომის სარეაბილიტაციო ცენტრებიდან მოიწვია. ბავშვთა დიდი ჯგუფი თეატრმა ცხინვალიდანაც მიიღო.

მსახიობთა შესრულებული ცეკვებისა და ირგვლივ გამეფებული საახალწლო განწყობილების გამო პატარები აღფრთოვანებას ვერ ფარავდნენ. წინასაშობაო სპექტაკლის შემდეგ მათ საჩუქრები თავად ქალბატონმა ნინომ, მარისა და პრინცის პარტიების შემსრულებლებმა – ლალი კანდელაკმა, ცისია ჩოლოყაშვილმა, მარიამ ალექსიძემ, ირაკლი ბახტაძემ, დათო და ლაშა ხოზაშვილებმა და სპექტაკლის სხვა მონაწილეებმა გადასცეს. ეს არ იყო ერთჯერადი აქცია. 2-3 თებერვალს საბალეტო დასმა მშობელთა მზრუნველობასმოკლებული პატარები „გედების ტბაზე“ მოიწვია.

აქციას „ხელოვნება-ბავშვებს“, საქველმოქმედო ხასიათთან ერთად, საგანმანათლებლო ფორმატიც აქვს. იგი მიზნად ისახავს მოზარდი თაობა პატარაობიდანვე აზიაროს საბალეტო ხელოვნების მშვენიერებას. იანვრიდან რადიო „ახალ ტალღაზე“ (FM 97,1) დაიწყო საბალეტო ვიქტორინა, რომელშიც გამარჯვებული ბავშვები სპექატაკლის ბილეთებით ჯილდოვდებიან. განათლების სამინისტროსთან თანამშრომლობით თბილისის სკოლების მოსწავლეებს სისტემატიურად იწვევენ საბალეტო სპექტაკლებზე.

ამ მიმართებით ნინო ანანიაშვილს სხვა გეგმებიც აქვს. დაგეგმილია საქველმოქმედო აქციის ჩატარება და შემოსული თანხით ბავშვთა სახლებში სპეციალური საგანმანათლებლო პროექტების დაფინანსება.

საბალეტო სასწავლებელი დღეს

დიდი ტრადიციების მქონე ვ.ჭაბუკიანის სახელობის თბილისის საბალეტო ხელოვნების სახელმწიფო სასწავლებლის ცხოვრებაში სერიოზული ცვლილებები მიმდინარეობს. ჩვენთან საუბრისას სასწავლებლის დირექტორმა ზვიად ბაქრაძემ, რომელიც აქ 2004 წლის სექტემბერიდან მუშაობს, განაცხადა – „მდგომარეობა უკიდურესად მძიმე დაგვხდა. შენობა მთლიანად ამორტიზებული იყო, მეცადინეობები ავტობუსებშიც კი მიმდინარეობდა. სახელმწიფოსა და ბიზნესმენთა დახმარებით, „საქენერგოს“ ყოფილ შენობაში ჩატარებული სამუშაოების წყალობით, დღეს სასწავლო პროცესი სრულადაა აღდგენილი. გარემონტდა ოთხი სარეპეტიციო დარბაზი. მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესმენები, რომლებიც დაგვეხმარნენ, წინააღმდეგნი არიან საკუთარი სახელების გაცხადებისა, თქვენი ჟურნალის საშუალებით კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო ზაურ ლეშქაშელს, ბიძინა ივანიშვილს, ფრიდონ ინჯიას და აგრეთვე ალექსეი ფადეეჩევს, რომელმაც დარბაზებისთვის „ლინოლიუმი“ გვაჩუქა.

ახალი სასწავლო წლიდან სასწავლებელი ძველ შენობაში, ჩუბინაშვილის ქუჩაზე გადავა, სადაც დასრულდება სარემონტო სამუშაოები და განთავსდებიან სასწავლებლის I-II საფეხურის მოსწავლეები, ხოლო ახლანდელ შენობაში III საფეხურის მოსწავლეებისათვის ჩატარდება მეცადინეობა; დაიწყება რეფორმის მეორე ეტაპი, რაც გულისხმობს სასწავლო საგნების ევროპულ სტანდარტებთან მიახლოებას; ჩამოყალიბდება ორი იურიდიულ პირი – ძველ შენობაში განთავს-დება სასწავლებელთან არსებული №46 საჯარო სკოლა, ამჟამინდელში კი – თავად საბალეტო სასწავლებელი.

თუმცა, არის პრობლემებიც. სამწუხაროდ, მიმდინარე წლის ბიუჯეტში არ მომხდარა პედაგოგთა ხელფასების გაზრდა, რაც მნიშვნელოვან პრობლემებს გვიქმნის მუშაობაში.

ნინო ანანიაშვილის იდეაა, რომ სასწავლებლის ფარგლებში გაიხსნას სკოლა-ინტერნატი, მით უფრო, რომ ამის ტრადიცია ადრე არსებობდა. ამისათვის საჭიროა, არსებული შენობა მთლიანად გათავისუფლდეს და გადაეცეს საბალეტო ხელოვნების სასწავლებელს. სკოლა-ინტერნატის გახსნის შემთხვევაში აქ გათვალისწინებულია მზრუნველობამოკლებულ ბავშვთა კონტინგენტიდან ნიჭიერების ჩარიცხვა. ამისთვის ბავშვებს საქართველოს ყველა რეგიონში შეარჩევენ. სკოლა-ინტერნატის გახსნა სხვადასხვა ქვეყნებიდან მსურველ ბავშვებსაც გაუხსნის გზას საბალეტო ხელოვნებას ნინო ანანიაშვილის ხელმძღვანელობით დაეუფლონ“.

სასწავლებელში დატვირთული და შინაარსიანი სასწავლო პროცესი მიმდინარეობს. სექტემბრიდან 5-დან 9 წლამდე ბავშვთა მოსამზადებელი განყოფილების გახსნა იგეგმება. სასწავლო წლის ბოლოს კი ოპერისა და ბალეტის თეატრში მოსწავლეთა გამოსაშვები საღამო გაიმართება.